№ 2985
კვირა,
იანვარი

ცნობის ფურცელი

№ 2985
კვირა,
22 იანვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის და ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმე დღის გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

„ნაპერწკლის" რედაქციისაგან.

ზოგიერთი მოსაზრებისა და ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო სატირიული ჟურნალი კარრიკატურებით „ნაპერწკალი" **ჯერ არ გამოვა.**

ვისაც ფული აქვს შემოტანილი, ჩაეთვლება ჟურნალის გამოსვლის დღიდან.

1906 წელს „ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი **გადიდებული** იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით **ერთის წლით** 6 მან.
ერთის თვით 50 კაპ.

საზღვარ-გარედ გაგზავნით **ერთის წლით** 11 მან.
ერთის თვით 1. მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა მხატვარი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი.

„ცნობის ფურცლის" წლიურ ხელისმომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი „ნაპერწკალი".

ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели".

ტფილისის სახაზინო თეატრი

კვირას, 22 იანვარს 1906 წ., რუსულ ოპერის ამხანაგობის მიერ ქართულ მუსიკის მოყვარულთა დახმარებით

პირველად ქართულს ენაზედ წარმოდგენილი იქნება:

დემონი

ოპერა, 3 მოქმ. 6 სურ. მუს. ა. რუბინშტეინისა. თარგ. ბ-ნ გუნიასი და კარგარეთლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ძნელაძისა, ავალოვისა, ლოვინასი; ბ-ნნი: აგასოვი, გედევანიშვილი, სიდამონიძე, დრაკული და კარგარეთელი.

წარმოდგენის დასაწყისი შუადღის 12 საათზედ.

ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში. ფასი ჩვეულებრივია.

დაწვრილებით აფიშა—პროგრამაში (3—3)

ივლიტა გრიგოლის ასული, დავით დიმიტრის ძე სოფიო დავითის ასული და გრიგოლ დავითის ძე ხირსელნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 22 იანვარს, 12 საათზე, ქვაშვეთის ეკკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გადაცვალებულ

ილია ხირსელის

სულის მოსახსენებლად. (2—უ.—2)

მართა დავითის ასული და გიორგი დავითის ძე აგლაძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უდროოდ გადაცვალებულ

ილიკო ხირსელის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი კვირას, 22 იანვარს, 12 საათზე, ქვაშვეთის ეკკლესიაში. (2—უ.—2)

კომისია, რომელიც ზრუნავს ფიზიკო-მათემატიკის სახელმძღვანელოების შესამუშავებლად ქართულ ენაზე დაბალ და საშუალო სასწავლებლებისათვის, სთხოვს ყველას, ვისაც ამ საგნების ან თარგმანი, ან თავისით შედგენილი სახელმძღვანელოები აქვთ უკვე დაწერილი ან გამოცემული, მოაწოდონ კომისიას გასასინჯათ. თუ უკვე არსებული რომელიმე შრომა კომისიის შეხედულებით საკმარისად დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას ახლო მომავალში, პირველ ხანებში მაინც, კომისსია თავის დროს და მეცადინეობას დანარჩენ სახელმძღვანელოების შემუშავებას მოანდომებს.

ადრესი: „ცნობ. ფურცლის" რედაქცია, კომისსის გადასაცემად. (3—უ.—1)

ა. პ. შულგინა-მესხი

გაკვეთილები საოპერო სიმღერისა, ამზადებს ქართულ ოპერებისთვის და აგრეთვე პრაქტიკული და თეორეტიული გაკვეთილები ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებისა. ვერის დაღმართი № 1 (თვ.)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—7-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 8. (წლ.)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდისს კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

ექიმი
გ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვერენიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე. საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (31—6.—19)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი

იღებს ბავშვებს და შინაგან ავადმყოფებს დილის 8—9 ს., საღამოს 4—7 ს. აქვე სწარმოებს ქიმიკო მიკროსკოპიული გამოკვლევა (2—18)

ტფილისი, 22 იანვარი.

შეუსრულებელი მიზანი.

რეაქცია შეუსრულებელმა მიზანმა გაიტაცა: შეუძლებელი შესაძლებლად უნდა გახადოს. იმან განიზრახა ძირიან-ფესვიანად ამოგლიჯოს ხალხის გულიდან ის გრძნობა, რომელმაც ხალხი ფეხზე დააყენა და ხმამაღლა ათქმევინა საუკუნოებით სიღრმეში ჩამარხული საიდუმლო. წლითი წლობით იზრდებოდა ეს გრძნობა, წლითი წლობით განივრდებოდა და დღეს ველარ ეტევა გულში, გარედ ილტვის. არ შეუძლიან ადამიანს ტირილი შეიკავოს, როდესაც იმის გულს მწუხარება ღრღნის; არ შეუძლიან განრისხებულ სახეს ღიმილი მოჰფინოს, როცა იმისი სული აღლვრეულია უსამართლობით. არ შეუძლიან ხალხის გულმა არ დაიკვნესოს, როცა ლახვარი ტარამდის აპობს; არ შეუძლიან ხალხის მრისხანებამ თავი დაიჭიროს, როცა ხედავს თავის ადამიანურ უფლებების ურცხვად შებღალვას! ხალხის გულმა საზარლად დაიკვნესა, ხალხი განრისხდა. საშიშია იმისი რისხვა! შეუძლებელია იმისი შეყენება.

რეაქციას კი სურს შეყენება, მეტიც: სურს რისხვის გაქარვება. გონივრულად იქცევა რეაქცია? აღწევს მიზანს თავის მოქმედებით? არა და არა. ხალხის კვნესა, ხალხის რისხვა არ წააგავს მსახიობის კვნესას, მსახიობის რისხვას. ხალხის კვნესა იმისი საკუთარი კვნესაა. ხალხის რისხვა იმისი საკუთარი რისხვაა. ხალხი მსახიობის ნიღაბს არ იფარებს, ხალხი სხვის გრძნობებით არ აღელვებს მაყურებელს: იმის გულის სიღრმეში დაბადებულან, იმის არსების სისხლ-ხორცით გამოზდილან, იმის საკუთარ ვულმკერდს ამოუძახნია. ხალხის გრძნობა ხელოვნების ნაწარმოები არ არის, იგი თვით ბუნებაა და ნამდვილი, როგორც ბუნება, მძლავრი, როგორც ბუნება. უბძანეთ ქარს: „ნუ ჰქრითქო"; უბრძანეთ ზღვას: „ნუ ღელავთქო". ამაო იქნება თქვენი ბრძანება. ბუნებას თავისი კანონები აქვს; ის არ დაგიდევს ადამიანის სურვილს და შეუშინებლად აკეთებს თავის საქმეს.

რეაქციას ავიწყდება ეს უბრალო აზრი. რეაქცია არა ხედავს, რომ ხალხის მღელვარება დღეს ბუნებრივია ისევე, როგორც ქარის ქროლა და ზღვის ღელვა. იგი ებრძვის თვით ბუნებას, სურს ბუნება დაამარცხოს. ეს შეუძლებელია, ეს შეუსრულებელი მიზანია.

ბუნება აქამდის დატყვევებული იყო. მზის სხივი იშვიათად ათბობდა იმის გულს. ლაჟვარდი ცა არ შეჰხაროდა იმის მშვენიერებას, მაგრამ ბუნება მაინც არსებობდა. ის მკვდარი არ იყო, როგორც დევგმირს ეძინა. მოვიდა დრო და დევ-გმირმა გაიღვიძა. ბუნება ზამთრის ყინვით დაბორკილი იყო, მაგრამ გაზაფხული დადგა და ბუნება აყვავდა. როგორ შეიძლება დევგმირის კვლავ დაძინება, როგორ შეიძლება გაზაფხულზედ ზამთრის დაბრუნება? არ შეიძლება, არ შეიძლება ხალხის გრძნობის კვლავ ჩამარხვა, არ შეიძლება იმის რისხვის გაქარწყლება.

ბუნება ძლიერია, ყოვლად შემძლეა. სტანჯეთ იგი, ბორკილი დაადეთ, შეზღუდეთ, იგი მაინც თავისას აასრულებს, თავისას გაიტანს. ბუნება შეუბრალებელია, ულმობელია. არავის არ შეარჩენს თავის დაჩაგვრას, თავის დატყვევებას და მაგიერს გადაუხდის. აზვირთებული მდინარე მირბის მთიდან. შეუკარით გზა. გგონიათ, შეაყენეთ მიმდინარეობა? მიდით და ნახეთ. მდინარე მოაწვა ზღუდეს მთელის თავის შეჯგუფულის ძალით და ან გაარღვია თქვენგან აშენებული ზღუდე, ან გადახეთქა და უფრესის სისწრაფით გასწია წინ.

ხალხის გრძნობა მდინარეა, რომელმაც გაარღვია საუკუნოებით აშენებული ზღუდე, გამოვიდა სიფართოვეზე და სისწრაფით მიდის წინ და სწყურია მალე მოიკლას გრძნობა. უგუნურობაა იმისი კვლავ დატყვევება, დახშობა.

გრძნობას ხალხის გული აქვს ბინად და სანამ ეს გული სცემს, გრძნობა სცოცხლობს. გრძნობას ვერ დაატყვევებ ისე, როგორც ჩიტს გალიაში. გრძნობა რომ ჩიტსა ჰგავდეს, მაშინ შეუძლებელი არ იქმნებოდა იმის დატყვევება. მაგრამ გრძნობა და ხალხის გული ერთია: ერთია, მერეც არის. ხან ორივე დამალულნი არიან, ხან ნათელზე გამოდიან. ხალხის გრძნობის დახშობა არის ხალხის განადგურება და მის არსებობის მოსპობა. ეს კი შეუძლებელია რეაქციისათვის. გატაცებული შეუსრულებელის მიზნით რეაქცია არა ჰხედავს, რომ ხალხის გულის მხოლოდ გაჩუმება შეიძლება და არა ამოგლეჯა. გავა დრო და გული კვლავ იჩენს თავს, კვლავ ამოხეთქავს შეგუბებულ გრძნობას. რაც მეტს ხანს სძევს გულში გრძნობა, იმდენად მეტად ძლიერება ემატება, იმდენად ღრმავდება და კაჟდება.

რეაქციას ჰგონია თავის მიზანს აღწევს, ნამდვილად კი ხალხის გულის გრძნობას ემსახურება. მალე დაინახავს თავის შეცდომას, მაგრამ გვიან-და იქმნება.

* * *

რევოლიუციის მნიშვნელობა.

რაც დრო გადის, უფრო და უფრო ირკვევა, თუ რა ხდება რუსეთში იმ დროს, როდესაც ჩვენ, გაფიცვების გამო, მოწყვეტილნი ვიყავით ყველაფერს. ირკვევა, რომ მართლა და დიდი რევოლიუცია იყო მთელ რუსეთში. რუსეთში კიდით კიდემდე ერთი და იგივე ხდებოდა, ყველგან გამწვავებული ბრძოლა ყოფილა. ზოგგან, როგორც, მაგალითად, კრასნოიარსკში, მუშებს რესპუბლიკაც კი გამოუცხადებიათ, რადგან ჯარი იქ სულ ცოტა ყოფილა და, რაც ყოფილა, ისიც ხალხის მხარეს გადასულა. ზოგგან ეს ვერ მოუხერხებიათ, მაგრამ ბრძოლა კი საშინელი აუტეხიათ. ყველგან ამ ბრძოლას ერთი და იგივე შედეგი მოჰყოლია: დამარცხება. რა თქმა უნდა, მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ რევოლიუციის ამბები გაზვიადებული მოვიდა ჩვენამდის, ისე, როგორც გაზვიადებული მიდის რუსეთში დასავლეთ საქართველოში ვითომდა მომხდარ ბრძოლის ამბები. ზოგ საქმეს „დამამშვიდებელი" აზვიადებს, რომ მერე ჯილდო და წარმატება მიიღოს, ზოგს ხალხის სისხლით მოწყურებული, ზოგს კიდევ ჩვეულებრივი გრძელი ენა. ასეა თუ ისე, ხმები გაზვიადებულიც რომ იყოს, მაინც უნდა ვსთქვათ, რომ რუსეთმა დეკემბერში ისეთი რევოლიუცია გამოიარა, რომლის მსგავსი ცოტა ყოფილა ისტორიაში.

მერე ჰქონდა რამე მნიშვნელობა ამ რევოლიუციას, თუ იგი მარტო ხალხის დამარცხებით გათავდა და ესოდენი სისხლი ტყუილად დაიღვარა და იღვრება? თვით მუშათა დეპუტატთა საბჭომ,—მანიფესტი რომ გამოიცხა, ბრძოლა გამოაცხადა,—ძალიანაც არა ჰქონდა გამარჯვების იმედი. მაგრამ ბრძოლა მაინც გამოაცხადა, ალბად იგი სხვაფრივ სწონავდა საქმეს, ალბად იმას რევოლიუციის ზნეობრივ მნიშვნელობის იმედი ჰქონდა. მართლაც და ეს რევოლიუცია, რომელმაც ხალხს პირდაპირ არავითარი ნაყოფი არ მოუტანა, მაინც არ დარჩა უმნიშვნელოდ და ეს მნიშვნელობა იყო ზნეობრივი. საქმე ის არის, რომ რუსეთს აქამდის არ განუცდია რევოლიუცია. ბორის გოდუნოვის დროის არეულობა რევოლიუცია არ იყო, ხალხი იმას ისე უცქერის, როგორც შავ დღეებს და არა განახლების ხანას. მაშინ არეულობის მიზეზად ხალხი უცხოელებს ასახელებდა და პირველნი მხსნელნი სამშობლოსი—მინინი და პოჟარსკი უწინარეს ყოვლისა უცხოელებს შეებრძოლნენ. გარდა ამისა მოძრაობა სრულიად უიდეიო იყო და მას არავითარი განახლება არ მოუტანია რუსეთისთვის.

მეორე არეულობა მოხდა მოსკოვში სიმშილობის დროს, როდესაც, რომანოვის გვარეულობის მეფობის პირველ ხანებში, ცხოვრება კალაპოტში ვერ ჩადგა. არც ეს არეულობა იყო რევოლიუცია; იგი მხოლოდ „ბუნტი" იყო. არც პუგაჩოვისა და სტენკა რაზინის ამბოხება იყო რევოლიუცია, რადგან ამათ ამბოხებასაც „ბუნტის" ხასიათი ჰქონდა. მართალია მიზეზი გლეხთა ამ ამბოხებისა ღრმად იყო ცხოვრების უკულმართობაში ჩამარხული, მაგრამ ხასიათი მოძრაობისა მაინც მოკლებული იყო იდეის და ამიტომ რევოლიუცია არ დაერქმევა.

ეს მოძრაობანი მოხდა რუსეთის ისტორიის საშუალო საუკუნოებში. მას შემდეგ რუსეთს არ უნახავს მოძრაობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დეკაბრისტების აჯანყებას 1825 წელს, რომელიც მარტოოდენ ცდა იყო, რადგან ამ მოძრაობას მხოლოდ ერთი მუჭა მომხრე ჰყავდა. მას შემდეგ ყოველი რუსის გონებაში ღრმად გაიდგა ფესვი იმ რწმენამ, რომ რუსეთი და რევოლიუცია ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ცნებაა. თვით რევოლიუციის მომხრეთაც თითქოს გარკვევით არა ჰქონდათ წარმოდგენილი, რა ფორმით გამოიხატება რუსეთში ეს რევოლიუცია და არც მაგდენად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ რუსეთს შეუძლიან განიცადოს რევოლიუცია. ამით აიხსნება დაქსაქსული ხასიათი და ზოგგან გაუბედაობა დეკემბრის რევოლიუციისა. რაც შეეხება „დამცველთ", ისინიც აქამდის დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რუსეთი რევოლიუციას არ განიცდისო, რომ რუსეთი თავისებური ქვეყანაა და ევროპის გზაზე არ წავა. ამასვე ეუბნებოდნენ ხალხს და არწმუნებდნენ, რომ რევოლიუციონერები ცხოვრების კვალს აცდენილი ერთი მუჭა ინტელიგენცია და „ინოროდცები" არიანო. ეხლა-კი, როდესაც რუსეთის გულმა, მოსკოვმა, მთელ რუსეთს ნიშანი მისცა რევოლიუციისა, თვალ წინ სულ სხვა სურათი გადაგვეშალა. ეხლა ყველას სწამს, რომ რუსეთს ბრძოლა შესძლებია. ორის კვირის რევოლიუციამ ხალხი პოლიტიურად მოამზადა და რუსეთი გამოიყვანა პოლიტიკურ უმწიფობიდან. რაკი რუსეთს ერთხელ შეეხო რევოლიუციის მხურვალე ბაგე, იგი ის აღარ არის, რაც იყო. „დამცველთაც" იგრძნეს ძალა რევოლიუციისა და თუმცა დაამარცხეს იგი, მაგრამ ვერ გაბედავენ თავიანთი გამარჯვება საქმეში გამოიყენონ. გაიმარჯვეს, მაგრამ მაინც ძალას უნდა დაუთმონ. გრ. ვიტტე ვეღარ იტყვის, რუსეთი თავისუფლებისთვის მზად არა ყოფილაო. რუსეთმა ამ რევოლიუციით დაამტკიცა, რომ სწყურის თავისუფლება, რომ იგი ძვირად აფასებს თავისუფლებას და სიცოცხლესაც-კი არ იშურებს იმისთვის!

* * *

ავტონომია და ფედერაცია

ავტონომია და ფედერაცია.—ცენტრალიზაცია და დეცენტრალიზაცია.—თეორია და პრაქტიკა.

(**წერილი იუჟაკოვისა**)

I

ფინლიანდიის ავტონომია მშვიდობიანურად გადაწყდა, მაგრამ პოლონეთის ავტონომიის საქმე ძალიან გაძნელებულია. ამასთანავე აღძრულია საქმე სხვა ავტონომიების შესახებ (დაყენებულია უკვე საკითხი ლიტვისა და საქართველოს შესახებ), შეიძლება აღმოჩნდეს კიდევ სხვა ავტონომიების საკითხიც და უნდა გამოვტყდეთ ამ საკითხებს პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს იმპერიისთვისაც და საავტონომიო ქვეყნებისთვისაც. ამ საქმეების სამართლიანს და ორთავ მხრისთვის სასარგებლო გადაწყვეტაზედ თვალსაჩინოდ დამოკიდებულია მომავალი რუსეთისა და იმის ტერიტორიაზე მოსახლე ერებისა. იგივე საკითხი ავტონომიების შესახებ გამწვავებულია ავსტრო-უნგრეთშიაც. ხელ-ახლა გამოდის ისტორიის ავანსცენაზე ირლანდიის ავტონომიის ძველი საქმე. ამ საკითხის გადაწყვეტის მოლოდინში იცლება სისხლით მაკედონია. ფედერალისტთა პარტიები (ე. ი. რომელნიც იცავენ პოლიტიკურ დეცენტრალიზაციას) საკმაოდ ძლიერნი არიან იაპონიაში და იტალიაში. ამ გვარად ავტონომიის საკითხით დაინტერესებულია თითქმის ყველა განათლებულ ქვეყნების მკვიდრთა დიდი ნაწილი და განსაკუთრებით კი აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა. ამიტომ, საამდროვოდ მივაჩნია შევჩერდეთ იმ ფედერატიულ წყობილების პრობლემათა საფუძვლიან ანალიზზე, რომელნიც რთულნი არიან პრაქტიკაში, თორემ ძალიან მარტივნი თეორიაში.

ცოტა ხნით გადავუხვიოთ ჩვენს პირდაპირს საგანს, გადავიდეთ საზოგადო ფილოსოფიურ საკითხებზე და გავარკვიოთ, რაც შეიძლება ვუწოდოთ საზოგადოებრივ, და ზნეობრივ რიგის მოვლენათა შედარებითი ღირსება. მოვიგონოთ, რომ ღირსება შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ საზოგადოებრივ და ზნეობრივ რიგის მოვლენას და რომ იგი ხრის სიმართლესა და ბედნიერებასთან შეთანხმებული თვისება. საზოგადოებრივ და ზნეობრივ სფერის გარეშე მოვლენას კავშირი არა აქვს არც ბედნიერებასთან და არც სიმართლესთან, ამიტომ ასეთს მოვლენას ვერც ღირსეულს და ვერც უღირსს ვერ ვუწოდებთ; ამასა აქვს თვისება და არა ღირსება. სახელმწიფოებრივი წყობილება ეკუთვნის საზოგადოებრივ და ზნეობრივ მოვლენათა რიგს. იგი შეიძლება იყოს ღირსეული და უღირსი, ღირსეული მეტად და ნაკლებად. სახელმწიფო წყობილება უნდა დაფასდეს არა მარტო თვისებათა მიხედვით, არამედ ღირსებათა მიხედვითაც, ე. ი. იმის მიხედვით, თუ რაოდენად ეთანხმება იგი სიმართლესა და ბედნიერებას.

ამნაირი მსჯელობისათვის (დაფასებისათვის) საჭიროა გარკვეული გვქონდეს იდეალი, ე. ი. წარმოდგენა რომელისამე მოვლენის, მაგ. სახელმწიფოებრივ კავშირის იმისთანა მდგომარეობაზე, რომელსაც ჩვენ სრულს ვუწოდებთ. შესაძლოა თუ არა ქვეყნად იდეალის განხორციელება—ამ საგანზე კამათი სრულიად უქმია: ქვეყნად ყოველივე ძალიან დაშორებულია იდეალისაგან, მაგრამ შესაძლოა და საჭიროც ვიქონიოთ მსჯელობა იდეალთან დახლოვებაზედ. როდესაც ადამიანები რაიმე კავშირს აარსებენ, მაგალითად სახელმწიფოებრივს, ამით ისინი თანხმობას ამყარებენ თავის საქციელთა ერთს ნაწილში და, რამდენადაც შესაძლოა, ჰსპობენ ანტაგონისმს. თანხმობა მოქმედებისა და მოსპობა წინააღმდეგობისა შეადგენს ყოველისავე კავშირის ძირითადს შინაარს. მაშასადამე, ყოველისავე კავშირის იდეალური მდგომარეობა ის არის, რომ ყველა მის წევრთა მოქმედება სრულიად და მთლად თანხმობითი იყოს და არასოდეს ეს თანხმობა არ ირღვეოდეს. ყველა წევრი თავისუფლად, ნებაყოფლობით და შეგნებულად ჰმოქმედობს საერთო ინტერესის მისაღწევად და არ არღვევს ამხანაგების უფლებებს—აი, ასეთი კავშირია სრული იდეალი. იგი არსად არ არის განხორციელებული, მაგრამ მიახლოვება იმ იდეალთან ჭეშმარიტად გონიერი და კეთილშობილური მიზანია. ჯერ-ჯერობით, ვიდრე ასეთი თვითმოქმედებითი თანხმობა მხოლოდ კავშირის ზოგიერთ წევრებისაგან არის განხორციელებული, ყველგან ამ ნებაყოფლობითს თანხმობასთან ერთად არსებობს თანხმობა ნაძალადევი, რომელიც შეადგენს სახელმწიფოებრივ უფლობის მთავარ ფუნქციას.

თეორიულად ეხლავე შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ნაძალადევი თანხმობა, რომელიც იგულისხმებს ენერგიის დახარჯვას როგორც ძალდატანებისთვის, აგრეთვე წინააღმდეგობისთვის, ამ ენერგიას უქმად აკარგვინებს ერს და ამიტომ ეს უკანასკნელი ნაკლებს დაიმუშავებს, ნაკლებს იშრომებს და ნაკლებს მოიმკის. როცა-კი ასპარეზზე ძალდატანება გამოდის, ეს უკვე იმას აღნიშნავს, რომ თანხმობა დარღვეულია, დანაშაული ჩადენილი, მოვალეობა აღუსრულებელი, უფლება დათრგუნული. ყველა ეს ახალი და თვალსაჩინო ზიანია. ქვეყნად სრული არაფერი არ მოიპოვება, არ მოიპოვება ამიტომ არც სრული ძალდატანება, ე. ი. ისეთი, რომელიც განისაზღვრება მარტო ოდენ დარღვეულ თანხმობის აღდგე-

ნით: იგი ან საჭიროსად არ ცნობს დარღვეულს თანხმობას ან გადაამეტებს ძალდატანების საჭირო ზომას, გადაიქცევა ძალადობად და გამოიწვევს ახალსა და ახალს კონფლიქტებს. დაიწყება ბრძოლა, რომელიც ან შეარყევს იმ ორგანიზაციას, რომელიც ძალდატანებით იცავს საზოგადოებრივ თანხმობას, და ან გაანადგურებს ნაციის ენერგიას, გაათახსირებს მის კულტურულ და მორალურ მდგომარეობას. ამგვარად, სახელმწიფო წყობილება მით უფრო სრულია, რაც უფრო ნაკლები ასპარეზი ეთმობა ნაძალადევ თანხმობას და რაც უფრო მეტი ადგილი ეძლევა თვით-მოქმედების თანხმობას. უფლებრივი სახელმწიფო, პოლიციურ სახელმწიფოსთან შედარებით, თვალსაჩინოდ ამცირებს ნაძალადევ თანხმობის როლს. ასეთივე ძალდატანების შემზღუდველი მნიშვნელობა აქვს დეცენტრალისტურ ფედერატიულ წყობილებას (ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები, შვეიცარია) შედარებით ცენტრალისტურ უნიტარულ სახელმწიფოსთან (საფრანგეთი).

ნაძალადევი თანხმობა, რომელსაც იგულისხმებს სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური უფლება (ავტორიტეტი), არის მხოლოდ ერთ-ერთი მხარე იმ საზოგადო წყობილებისა, რომელიც საერთოდ ავტორიტეტზეა დამყარებული მას ჩვეულებრივ თანა სდევს ეკონომიურ და სულიერ ავტორიტეტების ბატონობა. თუ ძნელი მოსახდენია პოლიტიკურ ავტორიტეტის გაუქმება, როდესაც ჯერ სათანადოდ გადაქმნილი არ არის, გონებრივი და ეკონომიური კულტურა, მაგალითად შეუსტება სახელმწიფო უფლობისა მონობის დროს, მით უფრო სახიფათოა საზოგადოების მდგომარეობა, როდესაც ეკონომიურ და სულიერ კულტურის გადაქმნა თვალსაჩინოდ წინ უსწრობს სახელმწიფო უფლების დაუძლურებას. დარღვევა თანხმობისა საზოგადოებრივ წყობილების სხვა და სხვა მხარეთა შორის, უეჭველია ხშირად ჰხდება სერიოზულ საზოგადოებრივ არეულობის მიზეზად. ისტორიული ცხოვრების შემოქმედებითმა პროცესმა უკვე შეჰქმნა საზოგადოებაში ნიჭი თვითმოქმედებითის შეთანხმებისა და კიდეც შეუფარდა მას რამდენადმე ეკონომიურ და გონებრივ კულტურის ფორმები, პოლიტიკური კულტურა-კი განაგრძობს მოქმედებას, როგორც ძალდატანების ორგანო. ამ შემთხვევაში, შეტაკება ცხოვრებაში თანხმობის შემტან ორ სხვა და სხვა მეთოდის შუა — აუცილებელია და ძლიერ სახიფათოც. მაგალ. ეხლანდელი რუსეთი.

ზემოდ ნათქვამიდან შეგვიძლია გამოვიყვანოთ შემდეგი დასკვნა: თუ საერთოდ შესაწყნარებელია, საზოგადოებრივ წყობილების საზომად ჩავთვალოთ ის, თუ რამდენად არის საჭირო საზოგადოების არსებობისთვის ცხოვრებაში ძალდატანებით თანხმობის შეტანა ე. ი. თუ რამდენად არის საჭირო პოლიტიკური ძალდატანება, უნდა ვთქვათ, რომ ხშირად ზომა არსებულის პოლიტიკურის ძალდატანებისა ნამდვილ საჭიროების ხარისხს აღემატება, და მაშასადამე შეგვიძლიან პოლიტიკურ წყობილებისთვის გამოვიყენოთ, როგორც უარყოფითი საზომი, შემდეგი: ურთი-ერთის ეკონომიურ და გონებრივ ძალდატანების ხარისხია ერთის მხრივ და პოლიტიკურ ძალდატანებისა მეორე მხრივ. მაგალითად, გერმანიას ძალით უჭირავს ხელში ელზას ლორენი, რადგან ამ მხარეს არა ჰსურს, გერმანიის ნაწილი იყოს და იგი სხვა სახელმწიფოსკენ მიიწევს. გერმანიის ასეთს ძალადობას შესაძლოა წინააღმდეგობა გამოეცხადოს ეთიკურ და პოლიტიკურ მოსაზრებათა ძალით, შესაძლოა დავამტკიცოთ, რომ თვით გერმანიისათვის ეს ფაქტი სასარგებლო არ არის, მაგრამ რაკი გერმანელები ელზას-ლორენის მფლობელობას პოლიტიკურ საჭიროებად აღიარებენ, იმათ მეტი გზა არა აქვთ — ძალდატანებით უნდა შეიტანონ ამ ქვეყნის ცხოვრებაში თანხმობა გერმანიის კანონების მიხედვით. მაგრამ ზომა ამ აუცილებელ ძალდატანებისა შეიძლება ისე გაზვიადდეს, რომ მცხოვრებლების მტრული განწყობილება უფრო გამწვავდეს. შესაძლოა წარმოვიდგინოთ, რომ გერმანიის კულტურის მიმზიდველობის ძალას გამოეწვიოს შემოერთებულს პროვინციაში თვითმოქმედი კოორდინაცია (თანხმობა) გერმანიის და არა საფრანგეთის კანონთა მიხედვით, მაგრამ პოლიტიკური ძალდატანებითი კოორდინაცია კი ისევ მოქმედებდეს. ცხადია, ამ შემთხვევაში ეს ძალდატანება ნაციონალურ ცხოვრების სხვა მხარეებთან შეუთანხმებელი იქნებოდა და იმპერიის დარღვევას უფრო შეუწყობდა ხელს, ვიდრე გამაგრებას.

(შემდეგი იქნება)

ახალი ამბავი

◆ **ქართლში.** სოფ. ქარელიდან გვატყობინებენ: ეს ოთხი დღეა ამ სოფელში შემოვიდა ჯარი რამდენისამე ზარბაზნით, მიადგა ადგილობრივ მემამულის თავ. დიმიტრი (მიტო) ალექსანდრეს ძის ციციშვილის სახლს და ყუმბარები დაუშინა. სულ ცამეტჯერ ესროლეს, რის გამოც ეს უზარ-მაზარი შენობა დაინგრა და ცეცხლისაგან სულ განადგურდა. მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი და შეუდგა მეცადინეობას, რომ სოფელი გადაერჩინა. ჯარმა მოითხოვა: „მოგვეცით აგიტატორები, პროპაგანდისტები, სარევოლიუციო ორგანიზაციების მოთავეები, იარაღი, პროკლამაციები, ჯარში გასაწვევი ყმაწვილი კაცები, სახელმწიფო და საბატონო ხარჯები და მხოლოდ მაშინ აღარ აგიკლებთო“. ხალხმა დაასახელა რამდენიმე მოთავე და ჯარს მისცა, მიუტანეს კიდეც რამდენიმე თოფი ბერდანის სისტემისა, ხარჯებსაც შეძლების და გვარად მოგცემთო, მხოლოდ ცოტა გვადროვეთო. ებრაელების დუქნები და ყოველი სავაჭრო ადგილი აკლებული აღმოჩნდა. ხალხმა აირჩია დეპუტატებად ადგილობრივი მემამულე თავ. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ციციშვილი და მღვდელი ოქროპირიძე. ესენი გორში წავიდნენ გენერალ-გუბერნატორთან და სთხოვეს, სოფელს ნუ აიკლებთ და ყოველ მოთხოვნილებას შევასრულებთო. გენერალმა ბაუერმა უპასუხა, ვერაფერს შეღავათს ვერ მოგცემთო.

გორში სხვა და სხვა მხრიდან მუდამ დღე მოჰყავთ დაპატიმრებულნი. ხალხი დიდს შიშსა და გაჭირვებაშია. არ ვიცით, როდის დადგება სიმშვიდე. სოფლებიდან ხალხი სულ ტყეში გაიხიზნა; მომეტებულნი ისეთ სოფლებში დაბინავდნენ, სადაც შიში არ მოელით.

◆ **არსენ ჯორჯიაშვილი.** არსენ ჯორჯიაშვილი, რომელსაც ჰბრალდება გენერალ გრიაზნოვის მოკვლა, გუშინ წინ გადაიყვანეს სამხედრო საავადმყოფოში იმის ჯანმრთელობის შესამოწმებლად. ჯორჯიაშვილი დღევანდლამდე ძლიერ ავად არის. გამოძიება უკვე დასრულდა და საქმე განსახილველად გადაეცა კავკასიის სამხედრო სასამართლოს. როდის განიხილავენ ჯორჯიაშვილის საქმეს ჯერ არ არის დანიშნული

◆ **გენერალ-გუბერნატორის განკარგულება.** ტფ. გენერალ გუბერნატორმა გუშინ განკარგულება მოახდინა, რომ ვადა იარაღის ჩაბარებისა და მოწმობების ასაღებად გადაიდოს 25 იანვრამდე. ვადის გაგრძელება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ბევრი ხალხი მიაწყდა მოწმობების აღებად და მუშაობას ვერ აუვიდნენ თურმე.

◆ **აუარებელი გადასაზიდი საქონელი.** ამ ბოლო ჟამს აუარებელი გადასატანი საქონელი დარჩა მთელ რუსეთის რკინის გზებზე. ამ საქონლისათვის საჭიროა 160,000 ვაგონი. ამის გამო სამინისტრომ წინადადება მისცა რკინის გზებს და, მათ შორის, ამიერ-კავკასიისასაც, ყოველი ღონე იხმარონ და რაც შეიძლება ჩქარა მოაწყონ რიგიან საქონლის გადატანა. თითქმის ყველა ადგილს შესამჩნევად დაეტყო შეშის, ფქვილის და სანოვაგის უქონლობა.

◆ **ბათუმიდან გვწერენ:** „ბათუმში კარგა ხანია მუშაობდა პროვოკატორთა პატარა წრე, რომელსაც სურდა უსიამოვნება ჩამოეგდო ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შორის. ბოროტმა სულმა გამოიყენა შემთხვევით ბეკ-შერვაშიძის მოკვლა და მოჰკვეს განგაში, მაგრამ წაუხდათ საქციელი: მაჰმადიანნი არ აჰყვნენ პროვოკატორების მითქმა-მოთქმას. საჭიროა, დაუყოვნებლივ გამოძიებულ იქნეს ეს საქმე, რომ ბოროტნი სულნი დაისაჯნენ.

◆ **მოსამსახურეთა მიღება.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს დერეფნები ამ ბოლო დროს ძალზე გაჭედილია ხალხით. ყველა თხოულობს სამსახურში მიღებას. ვისაც პატრიოტულ პარტიის ბილეთი აქვს, მეტი არა უნდარა, დაუყოვნებლივ იღებენ.

◆ **მუშების შეშინება.** რადგან შორაპანში ხალხი ძალზე შეშინებულია, სამუშაოდ ვერ გადის. რკინის გზის გამგეობამ 20 იანვარს ორმოც და ათი კაცი მუშა გაგზავნა მარგანეცის დასატვირთავად.

◆ **ორის მემანქანის მოკვლა.** 20 იანვარს, საღამოს 7 საათზედ, კოპიტნარიდან მატარებლით ყაზახებს მოჰყავდათ რკინის გზის ორი შეპყრობილი მემანქანე, — ფლემი და ფრანკინბერგი. როგორც ამბობენ, ამ მემანქანეთ მე-71 ვერსზედ მოუნდომნიათ გაპარვა, მაგრამ ყაზახებს ორივე მოუკლავთ.

◆ **მატარებლების შეჩერება.** რადგან 18 იანვარს, დილის 6 საათიდან, გენერალ-ალიხანოვის განკარგულებით ქუთაისში ოთხი სამხედრო მატარებელი ზედი-ზედ უნდა შესულიყო, ამისათვის ამ დღეს არც სახალხო და არც საქონლის მატარებელი არ გამოსულა ქუთაისიდან.

მატარებლის დამსხვრევა. 20 იანვარს, ნაშუადღევის 1 საათზე, სადგურ სალანლუღის მახლობლად დაიმსხვრა ყარსისაკენ მიმავალი საქონლის მატარებელი. დაიშავდა შვიდი კაცი და ერთიც ვაგონების ნამტვრევებში მკვდარი ნახეს. დაიმსხვრა ოცდა-ხუთი ვაგონი, ორი ორთქლ-მავალი ლიანდაგს გადასცდა. ამ საქმის გამოსაძიებლად მაშინვე კომისია გაიგზავნა ტფილისიდან. მიზეზი, როგორც ამბობენ, ლიანდაგის განიერება უნდა იყოს. საქონლის მატარებლების მიმოსვლა შეჩერდა ყარსისაკენ, სახალხო მატარებლების მგზავრები-კი ფეხით გადადიან ამ ადგილს.

◆ **ციხის სტატისტიკა.** საგუბერნიო საპყრობილეში და მეტეხის ციხეში 19 იანვრამდის ირიცხებოდნენ 628 დაპატიმრებული. მათ შორის გასაგზავნი (ССЫЛЬНЫЙ) იყო 33 ვაჟი და 3 ქალი ადმინისტრატიული — 178 კაცი, სხვა საპყრობილეებში გასაგზავნი იყო 40 კაცი, სამხედრო უწყებისა 13. ციხის საავადმყოფოში ირიცხებოდა 90 ავადმყოფი.

◆ **სოხუმის ეპისკოპოსი.** ტფილისში ამბავი მოვიდა, რომ ეპისკ. კირიონი სოხუმის ეპისკოპოსად ინიშნებაო.

◆ **სავლეხო ბანკი.** სავლეხო ბანკი ამიერ-კავკასიაში, როგორც „კავ“-ს ატყობინებენ, მოქმედებას დაიწყებს 15 თებერვლიდან. გამგეობა ბანკისა ტფილისში იქნება. გამგედ დაინიშნა უსტინოვი, მუდმივ წევრებად თავ. გურამიშვილი და ვოინოვი.

◆ **ბერძნების დაფრთხობა.** ამ ბოლო დროს ძალზე დაფრთხნენ მომუშავე ბერძნები. თითქმის ყველა ადგილიდან მირბიან. ამ სამი დღის წინად მარტო ტფილისიდან ას ოცი კაცი წავიდა.

◆ **მაჰმადიანთა დღესასწაული.** დღეიდან იწყება მაჰმადიანთა ყურბან-ბაირამის დღესასწაული.

◆ **დეპუტაცია.** გუშინ, 21 იანვარს, კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწეს გენ. მალამასთან წარსდგა სომეხთა დეპუტაცია, რომელმაც წარუდგინა დეპეშა 20 იანვარს მიღებული ყაზახის მაზრის სოფ. კარავანსარაიდან. დეპეშაში მოხსენებული იყო, რომ რამდენიმე კაცი თათრის სოფელ ხინალუდან სომხებს ჰყავთ ტყვედ, ხოლო მემამულეს ალლახიარბეკ-ზიულგარდოვს ჰყავს ტყვედ სომხის მღვდელი ტერ-აბრაამიანი და აგრონომი დანიელიანცი; გლეხს მაშადი-ასან ზიულკარდოვს ჰყავს ტყვედ ავეტის ლევონიანცი ოჯახით და გრ. არზუმანიანცი ოჯახით. დეპუტაციამ სთხოვა ტყვეების განთავისუფლება.

◆ **გაჩხრეკა.** ბარიატინსკის ქუჩის თავსა და ბოლოში გენერალ გრიაზნოვის მოკვლის შემდეგ ჯარის კაცები დგანან და გამვლელ-გამომვლელთ სჩხრეკენ.

◆ **პანაშვიდი.** ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში 20 იანვარს პატრიოტულმა პარტიამ პანაშვიდი გადაიხადა გ. ლ. თ. გრიაზნოვის სულის მოსახსენებლად. დაესწრო ათას კაცზე მეტი.

◆ **მოსამსახურის დაკარგვა.** შორაპნის მაზრის წირქვალის საზოგადოების მცხოვრები ალექსი გიორგის ძე ქაშაკაშვილი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ იმისი შვილი გიორგი, რომელიც იმყოფებოდა შინა მოსამსახურედ აფთიაქარ კოჩინევთან, გადაიმალა სადღაც ჯერ ორი თვეა და ველარსად გვიპოვნია. ამიტომ სთხოვს ყველას, ვინც იცის სად იმყოფება ხსენებული გიორგი ქაშაკაშვილი, გვაცნობოს გაზეთის საშუალებით ანა და ვანო ჩაჩანიძეს, ან კაცია კეშელაშვილს ტფილისში განოვის ქუჩაზე № 21. თუმანოვის სახლში.

◆ ქალაქში ახალი ჯურის ქურდები გაჩნდნენ. ეს ვაჟბატონები სახე შემოხვეულები ლეკურად ჩაცმულნი, ვითომ ლეკები ვიყვნენ, დადიან, მიაქვთ ქვაბები მოსაკალავად და უკან კი აღარ აბრუნებენ. ასე გამოართვეს ქვაბები ვერაზე წყაროს უბანში იოსებ მესხურაძეს და სამ სხვასაც. საჭიროა მცხოვრებნი ფრთხილად მოიქცნენ.

◆ ამას წინად ქალაქის ტრამვაის მეთვალყურე კომისიამ ტრამვაის საზოგადოებას შეაწერა 3860 მან. ჯარიმა იმის გამო, რომ ორთაჭალისაკენ დღევანდლამდე ვაგონების მიმოსვლა შეჩერებულია. გამგეობამ ეს გადაწყვეტილება უარჰყო და დაადგინა, ეს საკითხი გადასაწყვეტად წარუდგინოს ქალაქის საბჭოს.

◆ ქალაქის მოურავმა შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკთან, რომ ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში ხელახლა აღდგენილ იქმნას სწავლება ადგილობრივ ენაზე.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ უკვე დაამთავრა ამა მიმდინარე წლის შემოსავალ გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა. ახლო მომავალში ხარჯთ აღრიცხვა წარუდგინება ქალაქის საბჭოს.

◆ ტფილისის ქალაქის თვითმმართველობამ შუამდგომლობა აღძრა გენერალ-გუბერნატორის წინაშე, ნება მიეცეთ ქალაქის დომარდებისა და სხვა დაწესებულებების დარაჯებს იარაღი ატარონ სამსახურის აღსრულების დროს.

◆ ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრი გ. დ. ჟუჟული, რომელიც პეტერბურგიდან დაბრუნდა, უკვე წავიდა ბათუმს.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 21 იანვარი. გაზეთები ირწმუნებიან, კავკასიის ნამესტნიკი გრაფ ვორონცოვ-დაშკოვი თავს ანებებს სამსახურსაო და იმის მაგიერ ნამესტნიკად გენ. გროდეკოვი ინიშნება. გროდეკოვი წინად ამურის მხრის გენ.-გუბერნატორი იყო.

უწმ. სინოდში ჯერ კიდევ არ დამთავრებულა თათბირი საქართველოს ეკკლესიის შესახებ. მონაწილეობას იღებენ: მიტროპოლიტები — ანტონი, ფლავიანე და ვლადიმირი, საქართველოს ეგზარხოსი ნიკოლოზი, ეპისკოპოსები კირიონი და ლეონიდი და ობერ-პროკურორი თავ. ობოლენსკი. როგორც ჯერ-ჯერობით სჩანს, საქართველოს ავტოკეფალიის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას მომავალ სრულიად რუსეთის საეკკლესიო კრებას მიანდობს.

გაზეთ „რუსკ. სლოვო“-ს დეპეშით ატყობინებენ ლვოვიდან (გალიციაში). სარევოლიუციო კომიტეტმა შეატყობინა ბერლინის ცნობილს ბანკირს მენდელსონს, სიკვდილით იქნები დასჯილი იმის გამო, რომ რუსეთის აბსოლიუტიზმს უწევ დახმარებას ფულითაო.

ფინანსთა სამინისტროს პროექტით, გადასახადი დაედება საეკკლესიო, სამონასტრო და საუფლისწულო მამულებს.

სახელმწიფო საბჭომ შეიწყნარა პროექტი საზოგადოებათა და კავშირთა შესახებ. სა-

ფელეტონი

პატარა ამბის მაგიერი

ცენზურა გაუქმდა! — ბიუროკრატიის შემოქმედებითი ნიჭი. — ძველი გმირები ახალ დროში. — კეთილ ბედისწერის ზღაპარი.

როდესაც წინასწარი ცენზურა გაუქმდა, ერთმა ოხუნჯმა იკითხა: „რა განსხვავებაა წინასწარ ცენზურისა და უცენზურობის შორის?“ საღის გონების ადამიანი ადვილად მისცემს პასუხს: წინასწარი ცენზურა უმოწყალო ჯალათია, უცენზურობა კი უსაჭიროესი პირობაა სიტყვის თავისუფლებისა.

ასე სჯის საღი გონება. მაგრამ ჩვენ დროში საღსაღეს გასავალი არა აქვს. ორჯერ ორი ოთხი გგონია, ნამდვილად კი ხუთი ყოფილა. ამიტომ ოხუნჯს არა სჯერა, რომ წინასწარ ცენზურასა და უცენზურობას შორის საღის გონების მიერ აღმოჩენილი განსხვავება არსებობდეს. ოხუნჯი ამბობს, რომ წინასწარ და უცენზურობის შორის არის შემდეგი განსხვავება: პირველის დროს თავისუფალ სიტყვას აპატიმრებდნენ, სანამ იგი მზეს დაინახავდა, მეორის დროს აპატიმრებდნენ მაშინ, როცა მზეს დაინახავსო...

ამას ეტყვიან რუსეთში სიტყვის თავისუფლებას! სიტყვას ცალი თვალით მზის სხივს დაანახვებენ და მერე ისევ უკუნეთში ჰგზავნიან. რათა? რისთვის? სიტყვა რუსეთში საუკუნოების განმავლობაში უკუნეთში სცხოვრობდა და მიეჩვია უკუნეთს, შეუყვარდა კიდეც. აბა სცადეთ ბნელის ოთახიდან უცებ ნათელ ოთახში გადაბრძანება. მაშინვე თვალებს დახუჭავთ, სინათლე თვალებს მოგჭრით, ე. ი. გაწყენთ. ეს დაკვირვება ზეპირად იცის რუსეთის ბიუროკრატიამ და, როგორც ხალხის სიკეთეზე მზრუნველს, არა სურს, ძვირფასი უფლება ხალხისა დასნეულდეს, ამიტომ... დაინახავს თუ არა თავისუფალი სიტყვა მზის შუქს, ბიუროკრატი უმალ ხელებს აფარებს: არ აწყინოსო.

იქნება იკითხო, მკითხველო: მაშ რადა გაუქმდეს წინასწარი ცენზურა? რათა და იმიტომ, რომ ხალხმა გაუჭირა ბიუროკრატიას საქმე, ჩააცივდა და აღარ მოეშვა: „ახსენი ბორკილი თავისუფალ სიტყვას, ნუ გვგლეჯამ ენას; სიტყვა — ღვთის ნობათია; არ ეკადრება შეზღუდვაო“. როგორც დედა ჭირვეულ ბავშვს ასრულებს ხოლმე თხოვნას, ისე ბიუროკრატიამ აუსრულა სურვილი ხალხსა, მაგრამ ისე გრძნეულად მოახერხა საქმე, რომ არც მწვადი დაწვა და არც შამფური: ვითომ სიტყვას ბორკილი მოხსნა, ნამდვილად კი უფრო მძიმე დაადო. მე რომ მკითხონ, წინასწარ ცენზურობის დრო ათას წილად სჯობდა. რას ბრძანებთ, ბატონო, წინად მაინც იცოდი ბედი შენი სიტყვისა: ან წითელ მელნის ქვეშ დაიმარხებოდა, ან უშიშრად გამოვიდოდა მზეზედ; ეხლა კი არ იცი, რა მოელის გულიდან ამოძახილს სიტყვას, უკუნეთი თუ სინათლე.

ძველი დრო კიდევ იმითი იყო კარგი, რომ ალღო გქონდა ალებული, რომელი სიტყვა არის საშიში და რომელი მხოლოდ დასაფლავებული. ალღოს მიხედვით სწერდი. ეხლა სიტყვას ხომ ასაფლავებენ და ასაფლავებენ, რომელსაც მამა-შვილურად სტუქსავენ...

არა, არა! წინასწარი ცენზურა სჯობდა!

* *

რუსეთში რომ განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო, გაზეთები გაივსო ბიუროკრატიის ლანძღვა-კიცხვით. ჰყვიროდნენ, ბიუროკრატიამ რუსეთი უფსკრულის პირს მიიყვანა; ბიუროკრატიამ ენერგია ჩაუშრო ხალხს; ბიუროკრატია გამოტვინდა, გამოფიტდა, აღარავითარი შემოქმედებითი ძალა აღარა აქვსო. პირველ ბრალდებებს თანახმა ვარ, მაგრამ უკანასკნელზედ კი არ შემიძლიან დავთანხმდე. სიმართლე, მიუდგომლობა პირველ ყოვლისა!

ბიუროკრატიამ საკვირველი შემოქმედებითი ძალა გამოიჩინა. საბუთები, უტყუარი საბუთები ხელში მიჭირავს.

ჩვენ ცენზურაზე ვსაუბრობდით. სულქვეშა სთქვი, მკითხველო, შემოქმედებითი ძალა არა სჩანს სიტყვის თავისუფლების ახალ კანონში? განა შეგეძლო შენ, არა ბიუროკრატს, შეგედგინა ისეთი კანონი, რომელსაც ერთის მხრივ სიტყვისთვის თავისუფლება მიეცა, ხოლო მეორეს მხრივ რკინის ოკლეებით შეეკრა! განა შეგეძლო შენ, არა ბიუროკრატს, წინასწარ ცენზურა გაგეუქმებინა და ამასთანავე იგივე ცენზურა აგეყვავებინა, გაგეძლიერებინა? არა და არა. ბიუროკრატიამ კი შესძლო.

წაიკითხავდი განკარგულებას: „ის სტამბები, რომელნიც დაბეჭდავენ მთავრობის საწინააღმდეგო წერილებს, დახურულ იქნებიანო“. გენიოსობაა, გენიოსობა! ესმის, მკითხველო? ცენზურა გაუქმებულია. საცენზურო კომიტეტის მოხელე, ან სხვა ძალთა მქონე ხელს არ ახლებს შენს სიტყვას. ბიუროკრატიის რა ბრალია, რომ სტამბის პატრონს ეშინიან თავისუფალ სიტყვისა და არა სურს, რომ იმისმა მაშინამ აღბეჭდოს იგი. დაემდურეთ სტამბების პატრონებს: რეტროგრადები ისინი ყოფილან და არა ბიუროკრატია!

თუ ეს მაგალითი არ არის საკმაო და არა ნათელ ჰყოფს ბიუროკრატიის შემოქმედებით ნიჭს, დავასახელებ მეორეს. როგორც მოგეხსენებათ, რუსეთში თვითმპყრობელობითი წეს-წყობილება იყო. დროთა ვითარებამ მოითხოვა ძველ წესწყობილების გაუქმება და შექმნა ახალის წესწყობილებისა, რომელსაც საფუძვლად უნდა ედოს უფლება და თავისუფლება. ბიუროკრატია შესისხლხორცებული იყო ძველ რეჟიმთან და ახლისკენ გული არ ედო, მაგრამ ძალა დაატანეს და შეაყვარეს ახალი წესწყობილება. ბიუროკრატია დასთანხმდა და ახალ წესწყობილების პროექტი შეიმუშავა. აქაც დიდი შემოქმედებითი ნიჭი გამოიჩინა: ძველი რეჟიმი ახალ ქერქში გახვია და მიაწოდა ხალხს. რუსეთის ბიუროკრატია ელეატების ფილოსოფიის მიმდევარია: „არაფერი არ იცვლება; ახალში ძველი მონახეო“.

* * *

დიახ, არ ახალია, ძველია ის, რაც მინდა მოგითხრო, საყვარელო მკითხველო. ყველამ ვიცოდით, ყველას გული გვემღვრეოდა, მაგრამ... ჩუმად ვიყავით, ვითმენდით, ვემორჩილებოდით. იყო ერთი დღე, როცა ხმა ამოვიღეთ, მორჩილებიდან გამოვედით. იყო დღე და აღარ არის. შავბნელმა ღამემ შთანთქა თავის უკუნეთში. კვლავ წამოსწიეს თავი კარგად ნაცნობებმა გმირებმა; კვლავ მათ დაიპყრეს ბურთი და მოედანი.

შეხედე, როგორ ხარხარებენ ჩვენს წმიდათა წმიდაზედ! შეხედე, რა სიამოვნებით სთელავენ უსულო გვამებს, იმ ნათელ დღის მსხვერპლებს! შეხედე, როგორ დასცინიან ჩვენს დროებით უძლურებას? შეხედე როგორ დამთვრალან თავის გამარჯვებით! შეხედე, რა გვარად ამაყობენ თავისის ძლიერებით! ყველაფერი გვინახავს, გვიგვრძნია, მაგრამ ეხლანდელმა გმირებმა თავიანთ თავს აჯობეს.

დასტკბი, მკითხველო. შენ წინა სდგას პოლკოვნიკი იაბლონსკი, ჯარების გადაყვანის საქმის გამგე. რკინის გზის სადგური სარინი არ იცნობდა სახელოვან პოლკოვნიკს. ერთმა დეპეშამ თვალები გაახილინა, სარინი აღარ დაივიწყებს გმირ იაბლონსკის. ჯერ არ ენახა, მაგრამ უკვე იცნობდა...

სადგურის ტელეგრაფის მოხელე დაღლილი იჯდა აპარატთან და უგულოდ იღებდა უინტერესო დეპეშებს.

„მე, გამგე ჯარების გადაყვანისა, ვითხოვ, რომ მიღებულ იქნას მხნე ზომები“. მოხელეს გულმა ფანცქალი დაუწყო. „ტყვია და ხიშტი ცხარედ უნდა მუშაობდეს. ყურადღებას ნუ მიაქცევთ შედეგს, თუ რომელიმე აგიტატორი გაჩნდა ლიანდაგზედ. თუ მუშები დეპოდან მატარებელს არ უშვებენ, ესროლეთ. საღამოსთვის აღდგენილ იქნას მოძრაობა. კვლავ ვიმეორებ: ტყვია და ხიშტი ცხარედ უნდა მუშაობდნენ. მაშინისტებს, რომელნიც სახელმწიფო ბინაზედ სცხოვრობენ, სამჯერ მიეცეს წინადადება წავიდნენ მატარებელზედ, უარის შემდეგ, პირველს, რომელიც პირს აღებს პასუხისათვის, იქვე მოკალით, იმისი ოჯახი გამოყარეთ ბინიდან, აგრეთვე ისინიც, ვინც არ მოისურვებენ მატარებელზედ წასვლას. ეს ჩემი დეპეშა განცხადებათ გამოაკარით სადგურზედ. ჯარების გადაყვანის საქმის გამგე იაბლონსკი“.

„ტყვია და ხიშტი ცხარედ უნდა მუშაობდეს! კვლავ ვიმეორებ: ტყვია და ხიშტი ცხარედ უნდა მუშაობდეს“. რა მიუმატო ამ გამომეტყველ სიტყვებს? დამატება მხოლოდ ძლიერებას წაართმევს, მიამკრთალებს.

* *

გმირი იაბლონსკი გმირობდა შორს, სამხრეთ-დასავლეთ მხარეში. ბედმა ჩვენი ქვეყანაც არ დაივიწყა, იმასაც მოუვლინა ტყვია-ხიშტის მოტრფიალე მხედარი. ჩვენი

ზოგადოებისა და კავშირის დაარსებისათვის საკმაო იქნება ადმინისტრაციის ცნობა. დახურვა შეიძლება სასამართლოს დადგენილებით ან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით.

შემუშავებულია კანონ პროექტი, რომლით პოლიციის მოხელეთ მიენიჭება სამხედრო მმართველობის ზოგიერთი უფლება.

დასავლეთ საქართველოში

სენაკიდან მოსულებმა გადმოგვცეს, რომ ჯარის მოსვლისთანავე დაბაში ცეცხლი გაჩნდა. დაბის მცხოვრებლები სრულებით მოუმზადებელნი არიან ცეცხლის საქრობად და ამიტომ დაბა ღვთის ანაბარად არის მიტოვებული. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ქრისტიშობისთვის პირველ რიცხვებიდან სენაკში სრულებით აღარ იყო ჯარი და ხაზინას იცავდა ადგილობრივი ორგანიზაცია. რამდენადაც ჩვენ ვიცით, ხაზინა ხელუხლებელი დახვდა ჯარს და ეხლა თითონ პატრონობს.

სამტრედიიდან, როგორც უკვე ვწერდით, არა სანუგეშო ამბები ისმის. იქაც ცეცხლი მისდებია მთელს დაბას და გადაბუგვას უპირებს. დიდი უმეტესობა მცხოვრებლებისა გაიხიზნა,—დაბა მთლად დაცარიელებულია.

ქუთაისის ქალაქის საბჭომ კვლავ განახლა თავისი მოქმედება. ადმინისტრაციამ მოსთხოვა ქალაქს, რომ პოლიციის შესანახი ფული დაუყოვნებლივ წარმოადგინოს, რომ ხელ-ახლად მოიწვიონ ქალაქის პოლიციის შტატი. დღეს დღეობით ქალაქის პოლიციის მოვალეობას ასრულებენ საერობო დარაჯები, რომელნიც, როგორც ამას წინად ვწერდით, საომარ წესის შემოღებისათანავე ძველებურად შეუდგნენ თავიანთ საქმეს.

ქუთაისში ბულვარზე დაჭრილი ა. ბერიძე გარდაიცვალა ქალაქის საავადმყოფოში. 16 იანვარს დაასაფლავეს საფიჩხიის სასაფლაოზე. დასაფლავებას ბევრი ხალხი დაესწრო; დამსწრეთა უმეტეს ნაწილს თავად-აზნაურობა შეადგენდა. მიცვალებულის გამოსვენებას მღვდელი არ დაესწრო. როგორც გავიგეთ, საფიჩხიის ეკლესიის მღვდელი იმიტომ არ დაესწრო დაკრძალვას, რომ სარევოლიუციო ორგანიზაციებისა ეშინოდა, ხალხში უკმაყოფილობა ისმოდა ამის შესახებ და ზოგიერთნი მუქარასაც-კი უთვლიდნენ მღვდელს.

16 იანვარს გუბის დუქნებთან მოჰკლეს ხონელი ვაჭარი, შეძლებული სვანიძე. როცა ხონიდან მომავალი ეტლები და დილიჟნები გუბის დუქნებთან გაჩერებულან დასასვენებლად, დილიჟნიდან გადმოსულა სამი კაცი, რომელნიც მიახლოვებიან სვანიძის ეტლს და დაუხლიათ რევოლვერები. სვანიძე არ შეჰკრთალა და თითონაც უსროლია რევოლვერი, მაგრამ ვერავისთვის მოუხვედრებია და თითონ-კი სასიკვდილოდ დაჭრილა. როგორც ამბობენ, წინა დღეს ერთ კრებაზე სვანიძეს თავის მოძმეთათვის ზომიერება და მორიდება ურჩევია და ვითომ ამან გამოიწვია მისი მოკვლა.

დატუსაღებულთა შორის ქუთაისში ურევია ქალაქის საავადმყოფოს ქირურგი პ. მ. დონდოროვი და ამ გარემოებამ დიდად შეაწუხა ავად-მყოფნი, რომელნიც უექიმოდ დარჩნენ.

ქუთაისის გარეგნობა გენ. ალიხანოვის მოსვლისთანავე შეიცვალა. ნაბიჯს ვერ გადასდგამთ ისე, რომ სამხედრო უწყების კაცი არ შეგხვდეთ. დღისით და ღამით განუწყვეტლად დაიარებიან პატრულები. ღამ-ღამობით ერთ კაცს ვერ ნახავთ ქუჩაში—კაცს ეგონება ქალაქი ამოწყდაო. ძალიან რომ გაუჭირდეს საქმე მოქალაქეს, შიშით ღამე ვერაფრის ღონისძიებით ვერ გამოიყვანთ. მოქალაქეთა შიშს ის გარემოება ართულებს, რომ ქალაქში ერთი ფარანი არ ანთია და წყვდიადით არის მოცული.

ზესტაფონის ხაზინიდან გატანილ ფულის ზღვევა, როგორც ვიცით, გენერალ ალიხანოვმა დააკისრა შორაპნის მაზრის მცხოვრებთ. ეს ფული რომ გაუნაწილებიათ მცხოვრებლებზე კომლობრივ, თითო კომლს, განურჩევლად წოდებისა, შეჰხვედრია გადასახდელად 8 მან. 40 კაპიკი.

ვიდრე გენერალი ალიხანოვი ქუთაისში წავიდოდა ზესტაფონიდან, მაზრის უფროსის პირით გამოუცხადებია შორაპნელებისთვის, რომ ათისა და ასის თავები სამართალში არ იქნებიან მიცემულნი და ყოველ პასუხის გებისაგან თავისუფალნი არიანო. ამ ნაირივე ამნისტია გამოუცხადებია იმ შეიარაღებულ პირთათვის, რომელნიც თავის ხელით ჩააბარებენ იარაღს მაზრის ადმინისტრაციას.

შორაპნის მაზრის მომრიგებელი შუამავალი ა. წერეთელი მაზრის უფროსად დაინიშნება. წინად ბ-ნი წერეთელი იმერეთის მაზრის უფროსის თანაშემწედ იყო და გურულების სიყვარული ვერ დაიმსახურა როგორც სჩანს ახალ კურს აზრადა აქვს ძველი ადმინისტრაცია განაახლოს, კედამოვი ხომ დაუბრუნეს ზუგდიდს და ეხლა ლაზარენკოზეა ჯერი.

რუსეთი

გლეხთა კავშირის კრება. პეტერბურგის მახლობლად მომხდარა სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის კრება. კრებას დაუდგენია, ბოიკოტი გამოუცხადოს სახელმწიფო სათათბიროს და იმის წევრთა არჩევნებს.

ვიტტე და 17 ოქტომბრის მანიფესტი. გაზეთები დაჟინებით იმეორებენ, ვითომ ვიტტეს ეღალატნოს 17 ოქტომბრის მანიფესტისთვის და ეხლა სხვა გზას დასდგომოდეს. რამდენად მართალია ეს, ვერავინ ვერ იტყვის, მაგრამ გაზ. „მოსკ. ვედ.“-ში კი დაბეჭდილია დეპეშა პეტერბურგიდან, რომელიც გადმოგვცემს, რომ, როდესაც გრაფ ვიტტეს წარუდგნენ კალაშნიკოვის ბირჟის წარმომადგენელნი, იმას უთქვამს: 17 ოქტომბრის მანიფესტი იყო უდროოდ, პოლიტიკურ მდგომარეობის მიერ ნაიძულები ზომა, რომელსაც ეხლა არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. გაზ. „რუს. ვედ.“ ამას სამართლიანად დასძენს, რომ თუნდაც ტყუილიც იყოს ეს ხმები, მაინც სამიშია იგი, რადგან სხვა და სხვა პარტიებს არა სასურველ საგიტაციო მასალას აძლევს; საჭიროა მთავრობამ გამოსთქვას ახდილად თავისი დამოკიდებულება 17 ოქტომბრის მანიფესტთანაო.

უფლებრივ წესიერების პარტიაში. ამას წინად უკვე ვაუწყეთ მკითხველებს, უფლებრივ წესიერების პარტიაში განხეთქილება მოხდა. ეხლა გამოირკვა მიზეზი ამ განხეთქილებისა. ბოპრიშჩევ-პუშკინი ამის შესახებ გადმოგვცემს შემდეგს: ეს პარტია, მისსავე სიტყვით, ზომიერი, მაგრამ პროგრესიულ-კონსტიტუციონური პარტია უნდა ყოფილიყო. თუმცა იგი ავტონომიის წინააღმდეგი იყო, მაგრამ მაინც თავის დროშაზე დააწერა კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა ეროვნობის განურჩევლად. პარტიის კრებაზე კი ეს შეიცვალა. „იმავ თავითაო“,—ამბობს ბობრიშჩევ-პუშკინი:—მე ვატყობდი, რომ პარტიას რაღაც საიდუმლო ჰქონდა, რითაც ძლიერ ემსგავსებოდა რეაქციონურ პარტიას; იგი არ უშვებდა კრებებზე ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლებს. ბევრი რეაქციონურის ხასიათის სიტყვებიც წარმოითქვა კრებაზე დაურიდებლად. კრებას მოქალაქეთა თანასწორობა კანონის წინაშე უარუყვია და გამოუცალკევებია ურიათა საკითხი. გლეხების მიერ წარმოდგენილი პროგრამა არ გასულა ამ პარტიაში და ყველა ამას გამოუწვევია განხეთქილება. ამ პარტიას არც დიდი ძალა ჰქონია, რაც იქიდანა სჩანს, რომ აგიტაციისათვის მას მხოლოდ 2000 მანეთი შეუკრებია.

კრების თავისუფლება. გაზეთები დაჟინებით იმეორებენ, რომ ეხლო მომავალში გამოვა ახალი კანონები თავისუფლებების შესახებ. ამ მოკლე ხანში უნდა გამოვიდეს კანონი კრების თავისუფლებისა. პროექტი ამ კანონისა გერმანიის კანონების დაგვარად არის თურმე შემუშავებული. კრებები ნება დართულ იქნება გაცხადებითის წესით. კრებაზე დაესწრობა პოლიციელი, რომელიც დახურავს კრებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კრებაზე მეფის გვარეულობის პირთ შეურაცხყოფას მიაყენებენ ან ხალხს აჯანყებისთვის ან რამე ძალმომრეობისთვის მოუწოდებენ. კრებების გამართვა ნება დართულ იქნება მხოლოდ დახურულ სადგომებში.

სახელმწიფო საბჭოში შეტანილია აგრეთვე პროექტი პიროვნობის ხელშეუხებლობის შესახებ.

კიდევ კუტლერის პროექტის შესახებ. კუტლერის პროექტს მიწათ-მფლობელობის რეფორმის შესახებ თურმე უმთავრესად შინაგან საქმეთა მინისტრი დურნოვო არ ეთანხმებოდა. გრ. ვიტტე ჩვეულებრივად ორჭოფად მოჰკიდებია პროექტს. უთქვამს, რომ თუმცა პროექტში მეტად მკაცრი ზომაა ნაჩვენები რეფორმისათვის (მამულების ძალდატანებით გამოსყიდვა), მაგრამ მე პრინციპიალურად მაინც თანახმა ვარ. ეს ერთად-ერთი ზომაა აგრარიულ მოძრაობის ჩასაქრობადაო.

ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება. მინისტრთა საბჭო ამ ჟამად ადგენს კანონს ბეჭდვითის სიტყვის თავისუფლების შესახებ. ამბობენ, ამ საგანზე კამათის დროს გამოირკვა, რომ მინისტრთა უმრავლესობა წინააღმდეგია საფუძვლად ახალ კანონს დაედოს 24 ნოემბრის კანონის პრინციპი, რადგანაც კანონი მეტად დამცირებულია საზოგადოების თვალში. ახალი კანონის შემუშავებაში მინისტრთა საბჭო ხელმძღვანელობს უცხოეთის სახელმწიფოების კანონებით.

ახალი დეპუტაცია. 23 დეკემბერს ხელმწიფეს წარუდგა „რუსეთის ხალხთა კავშირი“-ს დეპუტაცია, რომელიც 23 კაცისაგან შესდგებოდა. ამათში სხვათა შორის ყოფილან გლეხნიც. დეპუტაციის ადრესი მიურთმევია ხელმწიფისათვის, რისთვისაც ხელმწიფეს მადლობა გადაუხდია. ამ დეპუტაციის ხასიათის გამოსარკვევად საკმარისია ვსთქვათ, რომ ერთმა დეპუტატთაგანმა ხელმწიფეს შემდეგი უთხრა: „ნუ დაუჯერებთ ხელმწიფევ, იმათ ვინც მასსონებს და „ინოროდცებს“ ენდობა. თუ რუსეთის ხალხი პირჯვრის წერით თავის ლოცვაში ხელმწიფის სახელს იხსენიებს, ეს უცხოელების გაზეთების და ბანკირების ქებას სჯობია. ჩვენ ბევრნი ვართ“. მეორე დეპუტატმა, ბარანოვმა, სხვათა შორის, უთხრა: „კავშირის წევრებად არის გზით ებრაელებს არ ვიღებთ. არ ვიღებთ იმ შემთხვევაშიც-კი როდესაც ისინი მართლმადიდებელნი არიან ამით ჩვენ უნდობლობას ვუცხადებთ ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ეხლანდელი არეულობა იმათი საქმეა. მსურს რა კეთილი ჩემის სამშობლოსთვის, ვბედავ და უქვეშევრდომილესად გთხოვ, დიდო ხელმწიფევ, ბრძანე, რომ არ გააერთიანონ უფლებებით ებრაელნი ჩვენთან, თორემ ისინი დაგვიპყრობენო“. ხელმწიფეს ამაზე უპასუხნია: „ვიფიქრებო“. კეთილი საქმე მოუსურვებია დეპუტატს რუსეთისთვის. თუ რუსეთის სიკეთე ებრაელების ჩაგვრაში იყო, რატომ აქამდის არ ეღირსა რუსეთი სიკეთეს? ამაზე მეტი ებრაელების ჩაგვრა ხომ შეუძლებელია.

გაზეთის დაჭერა. დაუჭერიათ, სხვათა შორის, გაზეთი „მოლვა“. ეხლა ამ გაზეთის ნომრებს ეძებენ და ასობით იჭერენ. ალბად ეს დევნა გამოწვეულია იმითი, რომ ამ გაზეთმა მართალი დასწერა მოსკოვში მომხდარ ამბების შესახებ.

წერილები

ს. ხაშმი. (გარეთ კახეთი). კვირას, 15 იანვარს, ხშირ ბინდისას სოფელში ხმა გავრცელდა, რომ ჩვენს მინდორში ზედ გზაზე ვიღაც ახალგაზრდა არის მოკლულიო. მაშინვე მამასახლისი და ათიოდე ბიჭი წავიდნენ სანახავად და მიცვალებულის მოსატანად. ჯერ ისე იყო ნათქვამი, რომ ჩვენებურსა ჰგავსო, და ხალხი ძალიან შეწუხდა, შეშფოთდა. იმ ღამეს მოეტანათ მიცვალებული და მეორე დღეს დილით ყველას შეეძლო ენახა. მოკლული ახალგაზრდა კაცი იყო სულ ოცდა ორი-სამი წლისა. ეცვა ნაბდის ჯუბა. თავზედ ყაბალახი ეხვია. ჭრილობა მუცელში ჰქონდა, ხანჯლით იყო მოკლული. საბრალოს ხელები, ეტყობა, ბრძოლის დროს ხანჯლისთვის უტაცნია, რომ სულ ამოთლილი ჰქონდა ხელის გულები. პატრონტაში ზედვე ჰქონდა, მაგრამ თოფი კი მკვლელს წაეღო. საბრალო მსხვერპლი ხაშმელი არ იყო, იგი აღმოჩნდა თელაველი, როგორც ქალაქელებისაგან გავიგეთ და ზოგიერთმა მცნობებმაც დაამოწმეს. ეკუთვნოდა პარტიას. გარე კახეთისკენ წამოსულიყო ზოგიერთ ცნობების შესაკრებად. როგორც გავიგეთ, ვასო აივაზიშვილი ყოფილა გვარად, მეტ სახელად „განჯელი“. იმ დღესვე თელავს გაიგზავნა კაცი პატრონის შესატყობინებლად. 17 იანვარს დილითვე დიდძალი ხალხი შეიკრიბა ახლო სოფლებიდან, მეიდანზედ იყო მიცვალებული დასვენებული და რამდენმამე ორატორმა სიტყვები წარმოსთქვეს. შემდეგ ფული შეაგროვეს იმის დასაფლავებისთვის. იმავე დღეს მოკლულის ძმაც ჩამოვიდა და დღეს წაასვენებენ თელავისკენ. უბედური ვერაგულად არის მოკლული, ეტყობა ერთად მოდენილან მკვლელიც და ესეც. მერე უცებ უძგერებია ხანჯალი.

იმავე საღამოთი—16 იანვარს, წალძიანში—საკახეთო გზასთან მოუკლავთ კიდევ ორი კაცი, სულ გაუტიტვლებიათ და თითქმის უწამებიათ, ისე არიან დაჭრილნი და დაფლეთილნი. ისინი სართიჭალას ასვენიან.

ამ ამბებისაგან ხალხი მეტად აღშფოთებულია, მკვლელებს დაეძებს და კვალს კიდეც მიაგნეს. მალე გამოაშკარავდება ყველაფერი. **ივრელი.**

თელავი. ქალაქისა და დასავლეთ საქართველოს ამბებმა ყველანი დააძმარა და დაადონა აქ. ვერ გაუგიათ, რად ეწვიათ ასეთი მწარე ბედი ჩვენ თანამოძმეთ.

გაზეთები დიდი ხანია აღარ მოსდიოდა თელავს და თუ მოიტანეს რამე, ისიც რუსული. ქართულმა გაზეთებმა ბოიკოტი გამოგვიცხადესო, იძახოდნენ თელაველები. დეკემბერში თუ მოიტანდა დილიჟანი ქართულ გაზეთებს, იმასაც გასასყიდს, ხელის მოწერლების ნომრები არ მოდიოდა. კონდუქტორები აბრალებდნენ რედაქციებს, არა ჰკაზენიაო. ამიტომ ძალიან უკმაყოფილონი იყვნენ რედაქციებზედ. საზოგადოდ გაზეთების საქმე თხოულობს ჯეროვან ახსნას.

4 იანვარს თელავის ტაძარში გადახდილ იქნა პანაშვიდი მოსკოვში მოკლულ ილია დავითის ძე ხირსელის სულის მოსახსენებლად, პანაშვიდს მრავალი ხალხი დაესწრო. შიგ ტაძარში წარმოითქვა ორი სიტყვა. ტაძრის ეზოში დიდძალი ხალხი შეიკრიბა, ხუთმა ამხანაგმა წარმოსთქვა სიტყვა.

განსვენებულ ილია ხირსელს ყველა იცნობდა თელავში. მისი მოძრავი ბუნება და სიმკვირცხლე ყველას თვალწინ ჰქონდა წარმოდგენილი, მრავალი ცრემლი დაიღვარა, მრავალი ოხვრა-გმინვა ისმოდა.

წამებულთა გუნდს მიემატა ამხანაგი ილიკო, მარადის იქმნება ხსენება მისი სხვებთან ერთად!

თელავის მაზრის უფროსმა დაარიგებინა მთელ მაზრაში განცხადებები. ამ განცხადებებით ბ-ნი მაზრის უფროსი აცხადებს მცხოვრებთ, რომ სამხედრო ბეგარაში გამოწვეულნი გამოცხადდნენ თავის დროზედ. სიღნაღის მაზრიდან მოვიდნენ რუსები, რომელთაც შეხვედრიათ სამხედრო ბეგარა. იქიდანვე ისმის ამბავი, რომ ქიზიყელების შეკრებასაც შესდგომიან. თუ მართალია, ისინიც მალე მოვლენ თელავს სამხედრო გამგეობაში გამოსაცხადებლად.

ნადიკვრელი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენის გაზეთის მე-2981 №-მა ახალ ამბად დაბეჭდილია შეშის ვაჭრების დადგენილება. აღნიშნულია, თითქოს 14 იანვარს ტფილისში შეშის მოვაჭრეები შეკრებილიყვნენ, და შეუმუშავებიათ შეშას ნიხრი. ამასთან კიდევ აფრთხილებენ მყიდველებს, თუ იმ ფასებში არ მიჰყიდეს შეშის ვაჭრებმა შეშა, იმ შემთხვევაში გაზეთში უნდა გამოცხადდეს იმ შეშის მოვაჭრის სახელი და გვარი. ამის პასუხად ჩვენ, ტფილისის შეშის მოვაჭრეები, გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ ჩვენ 14 იანვარს არავითარი კრება არა გვქონია და ეს ახალი ამბავი სიმართლეს მოკლებულია. თუმცა ამ ერთის თვის წინად გვქონდა მაგაზე ლაპარაკი, მაგრამ ჩვენ ის შეშა უკვე გავყიდეთ და აღარ გვაქვს.

შეშის მოვაჭრეები: **ალექსი ცინცაძე, ზაქარია აზრაპოვი, ივანე სვანიშვილი, ბესარიონ კუტალავა, არტემ ნაკაძე.**

ქვეყნის გმირი მზეა იაბლონსკასთან შედარებით. იმანაც თავისი credo წერილობით შეატყობინა ვისაც ჯერ არს. როგორც „კასპი“ გადმოგვცემს, აი, რა წერილით მიუმართავს ამ გმირს ყარაბაღელ სომხებისათვის:

„ასკერანელნო! მე, ევლახსა და შუშის შორის მოსიარულე ჯარების უფროსი, გეუბნებით თქვენ: ისმინეთ, რათა კეთილ იყვეს თქვენთვის. თვით მე ჩემის ჯარებით და არტილერიით წამოვიყვან ტრანსპორტს შუშაში და მსურს შევიდე ქალაქში, ვითა ქრისტე სახედარსა ზედა მომავალი. მაგრამ თუ ბოროტ-გამზრახველნი ბრბონი გათამამდებიან და შემაყენებენ, ან მხოლოდ დამემუქრებიან, მე არ შევდრკები და ძალას ვიხმარ. მაშინ გაჩვენებთ, რომ მე უფრო მრისხანე ვარ, ვიდრე თქვენი კომიტეტები, რომელნიც გულში გძულთ და რომელთაც ზიზღით ემორჩილებით. ისიც მოიფიქრეთ, ვინ არის თავმდები, რომ მაჰმადიანები მორჩილების საზღვარს არ გადასცდებიან და არ დაეცემიან თქვენს სოფლებს, როცა მე ჯარს გამოვიყვან აღდამიდან!

„ეს იყოს გაფრთხილება, მეორეს ნუ ელით.“

„მე გეუბნებით: თუ მაიძულებთ და იარაღს ამაღებინებთ ხელში, მაშინ ჩემ სიცოცხლეშივე ისეთ ძეგლებს გადავიხდი, რომ შეძრწუნდნენ გარშემო მდგომნი მათნი, რომელნიც უკვე შეინირნენ თქვენის უკანონო ქცევის მაცქერალნი!

„თუ ვინმე მოისურვებს სროლაში ჩემ მოკვლას, იმან იცოდეს, რომ ლაშქრობაში მე მეხურება თეთრი ფაფახი და მეხვევა წითელ-წითელი ყაბალახი.

„ხელს ვაწერ: ივანე ერასტის ძე ფონ-იაზაროვსკი. მეფისა ჩვენისა ჯარის უფროსი. 1 იანვარი 1906 წ.“

ბედნიერი ახალი წელი დაგდგომიათ, ასკერანელნო!

* *

დღევანდელი გმირები ტყვიით და ხიშტით ამყარებენ ბედნიერებას. იმათმა საშუალებამ მომაგონა ენამახვილ დოროშევიჩის ზღაპარი „წვიმა“.

„ცის შვილი,—ხსენება მისი იყოს მეორედ მოსვლამდე,—ლი-ო-ა იდგა ფანჯარასთან.

ყმაწვილი იყო და იმიტომ კეთილი. სიმდიდრესა და ბრწყინვალებაში არ ავიწყდებოდა ზრუნვა ღარიბებსა და უბედურებზედ.

წვიმა მოდიოდა კოკის-პირული. ცა ტიროდა; მასთან ცრემლებს აფრქვევდნენ ხეები და ყვავილები.

მწუხარებამ შეუწუხა გული ცის შვილსა და სთქვა:

— ვაი იმათ, ვისაც ამ წვიმაში ქუდიც კი არა აქვს.

მიუბრუნდა კარის კაცს და უთხრა:

— მე მსურს ვიცოდე, რამდენია პეკინში ამისთანა უბედური?

— მზის შუქო!—უპასუხა მუხლ მოდრეკილმა და თავჩაღუნულმა ძუნგ-ხი-ძანგმა.—განა ქვეყანაზედ არის რამე შეუძლებელი მეფეთა მბრძანებლისთვის! მზე ისევ მაღლა იდგება, ცისკრის მშობელო, როცა გაიგებ, რაცა გსურს.

ცის შვილმა მოწყალე ღიმილით გაიღიმა. ძუნგ-ხი-ძანგი გაიქცა, რაც შეეძლო ჩქარა, პირველ მინისტრთან სან-ჩი-სანთან.

— ქვეყნის სიყვარულო, ჩვენი ყოვლად მწყალობელი ბრძანებელი,—გულ ამოხეთქილი ამბობდა ძუნგი,—დიდ მწუხარებაშია. იმის კეთილ გულს აწუხებენ ისინი, ვინც პეკინში წვიმაში უქუდოდ დადიან, და სურს იცოდეს, რამდენია ამ უბედურთა რიცხვი.

— არიან მაგისთანა მაწანწალები!—უპასუხა სან-ჩი-სანმა,—მაგრამ...

უბრძანა დაეძახნათ ქალაქის უფროსის პაი-ხი-ვოსთვის.

— სასახლიდან ცუდი ამბები მოდის,—სთქვა იმან, როცა პაი-ხი-ვომ თავი მოიდრიკა ყურადღების ნიშნად,—ჩვენის სიცოცხლის მფლობელმა შენიშნა უწესობა!

— როგორ?—წამოიძახა შეშინებულმა პაი-ხი-ვომ,—განა სასახლე ჩამოფარებული არ არის გატეხარის ბაღით.

— არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ ცის შვილს აწუხებენ ის მაწანწალები, რომელნიც წვიმაში უქუდოდ დარბიან. ჩვენ მბრძანებელს სურს, რომ დღესვე გაიგოს, რამდენია იმათი რიცხვი პეკინში. განკარგულება გაეცი!

— დაუძახეთ ამ წუთსავე ბებერ ძაღლს, ხუარ-ძუნგს!—ყვიროდა ერთის წამის შემდეგ პაი-ხი-ვო.

და როცა ქალაქის უფროსი, შიშისაგან გაფითრებული, მთრთოლარე ფეხ-ქვეშ ჩაუვარდა, მანდარინმა დაუშინა სეტყვასავით წყევლა:

— მძღნარევ, გამყიდველო, მოღალატევ! შენ გინდა, რომ ჩვენ ყველანი შენთან ერთად შუაზე გადაგვხერხონ!

— ამიხსენ მიზეზი შენის რისხვისა,—მთრთოლარე ხმით ეხვეწებოდა ხუარ-ძუნგი,—ამიხსენ, რათა შევისმინო სანუგეშო სიტყვები, რომელთაც შენი ბაგე აფრქვევს, თორემ მეშინიან, ვერ შევიგნებ შენის სიბრძნის ენას.

— ბებერო ძაღლო! შენთვის ღორების ჯოგი უნდა ჩაებარებინათ და არა უდიდესი ქალაქი მთელ დედამიწაზე! თვით ჩინეთის მბრძანებელმა შეამჩნია, რომ ქალაქში უწესობა ხდება: ქალაქში დაეხეტებიან ვიღაც მაწანწალები, რომელთაც წვიმის დროსაც კი ქუდი არა აქვთ, რომ დაიხურონ. საღამოსთვის შემიტყე, რამდენი დარჩება პეკინში მაგისთანა უბედური!

— ყველაფერი დროზე აღსრულებული იქნება!—უპასუხა ხუარ-ძუნგმა და სამჯერ შუბლი დაანარცხა იატაკს.

თვალმა დახამხამება ვერც კი მოასწრო. ხუარ-ძუნგი კი უკვე უყვიროდა და ფეხებს უბრაგუნებდა დარაჯებს, რომელნიც შეჰკრიბა ყურების გამჭედავ გონგის ყვირილით.

— დაწყევლილებო! ნახევარ თქვენგანს ჩამოვახრჩობ მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე ნახევარი შევწვა ნახშირზე! მშვენივრად დარაჯობთ ქალაქს! თქვენ თვალ წინ წვიმაში უქუდოდ დადიან! ერთის საათის შემდეგ დაიჭირეთ ყველანი, ვისაც ლერწმის ქუდიც კი არა აქვს!

დარაჯებმა დაიწყეს ბრძანების აღსრულება. ერთის საათის განმავლობაში პეკინის ქუჩებში ნამდვილი ნადირობა გაჩაღდა.

— დაიჭი! არ გაუშვა!—ყვიროდნენ დარაჯები და დასდევდნენ უქუდოდ მოსიარულეთ.

გამოჰყავდათ ლობეების ძირიდან, კარებებიდან, სახლებიდან, სადაც საწყლები იმალებოდნენ, როგორც თაგვები, რომელთაც მზარეული დასდევს დასაჭერად, რომ რაგუ მოამზადოს.

ერთ საათს ერთი წუთი აკლდა, როცა შეჰკრიბეს საპყრობილეს ეზოში ყველა, ვისაც პეკინში ქუდი არ მოეპოვებოდა.

— რამდენია?—იკითხა ხუარ-ძუნგმა.

— 20,871! უპასუხეს თავმოდრეკით დარაჯებმა.

— ჯალათები!—უბრძანა ხუარ-ძუნგმა.

ნახევარმა საათმა განვლო და 20,871 ჩინელი თავმოკვეთილი ეყარა საპყრობილის ეზოში.

20,871 თავი კი ააგეს შუბზედ და ქალაქში დაატარეს მცხოვრებთა ჭკუის სასწავლებლად.

საღამო დადგა. წვიმამ გადაიღო. ნიავი არხევდა ხეებს და წვიმის წვეთები მარგალიტებივით სცვიოდა სუნნელოვან ყვავილებზედ, რომელნიც ბრწყინავდნენ და ენთებოდნენ ჩამავალის მზის სხივებში. ცის შვილი ლი-ო-ა ფანჯარასთან იდგა და სტკბებოდა მშვენიერის სურათით.

ყმაწვილი და კეთილი იმ წამსაც არ ივიწყებდა უბედურთ.

— მომაგონდა!—უთხრა ძუნგ-ხი-ძუნგს: შენ უნდა შეგეტყო, რამდენია პეკინში ისეთი ღარიბი, რომელსაც წვიმაში ქუდიც კი არა აქვს, რომ დაიხუროს?

— სურვილი ქვეყნიერების მბრძანებელისა აღსრულეს მასმა მონებმა.—მდაბლად უპასუხა ძუნგ-ხი-ძანგმა.

— რამდენია? მართალი კი მითხარი.

— მთელ ჩინეთში არც ერთი ჩინელი არ არის, რომელსაც არა ჰქონდეს ქუდი, რომ წვიმაში თავი დაიფაროს. ვფიცავ, რომ ვამბობ ჭეშმარიტებას!

ძუნგ-ხი-ძანგმა აღაპყრო ხელები და თავი მოიდრიკა ფიცის ნიშნად.

ცის შვილის სახე გაბრწყინდა ბედნიერის და სიხარულის ღიმილით.

— ბედნიერი ქალაქი! ბედნიერი მხარე!—სთქვა ცის შვილმა.

სან-ჩი-სანმა, პაი-ხი-ვომ და ხუარ-ძუნგმა საჩუქრად მიიღეს ოქროს გველეშაპის ორდენი ხალხისთვის მშობლიურ მზრუნველობისათვის!..“

არ ახალია, ძველია, ჩემო ძვირფასო მკითხველო! გეწყინებათ ზღაპარი?

ყვავი

დეპეშა

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

19 იანვარი

პეტერბურგი, 19 იანვარი. სინოდთან იხსნება რჩევა ამიერ-კავკასიაში ეპარქიების მოწყობის შესახებ. სახელმწიფო საბჭომ დაამთავრა საზოგადოებებისა და კავშირების შესახებ დროებით წესების იმ ნაწილის განხილვა, რომელიც შეეხება ჩვეულებრივ საზოგადოებებს და შეუდგა პროფესიონალურ კავშირების საქმეს. საზოგადოების და კავშირის დასაარსებლად საჭიროა გამოცხადებითი წესრიგი; საზოგადოების დახურვა, რეგისტრაცია მიენდობა ადმინისტრაციას ანუ სპეციალურ სამოსამართლო დაწესებულებებს, კავშირის დახურვა-კი შინაგან საქმეთა მინისტრის საქმე იქნება.

მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე განიხილვენ ვაჭრობის სამინისტროს წინადადებას შესახებ იმისა, რომ საქალაქო საზოგადოების წესდებაში არ შეიტანონ ებრაელების უფლებების შემზღუდველი მუხლები.

მოსკოვის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა, რომელიც ამ დღეებში ცარსკოე სელოში იყო, უთხრა ჩვენს კორესპონდენტს, კერძო საკუთრების პრინციპს ძლიერი დამცველები ჰყავს და იგი წმიდათა და ხელუხლებლად იქნება დაცული.

ნოვოროსიისკი, 19 იანვარი. 28 დეკემბრიდან 1 იანვრამდე სოჭში შეიარაღებული შეტაკება ხდებოდა რევოლიუციონერებსა და გარნიზონს შორის, რომელიც შესდგებოდა 28 ქვეითი სალდათისა და 50 სტრაჟნიკისაგან. რევოლიუციონერებმა ალყა შემოარტყეს გარნიზონის ყაზარმას, მოჰკლეს ერთი სტრაჟნიკი, დასჭრეს 3 და ერთი სალდათი პირისპირ ბრძოლის დროს. აჯანყებულნი ძარცვავდნენ სოჭის აგარაკებს, მოჰკლეს სადგურის გამგე და გადასწვეს საქმეები ოლქის უფროსის კანცელარიაში. 1 იანვარს, სადამოს გარნიზონი იძულებული შეიქნა დაჰნებებოდა. როცა ბათუმიდან ნავმოსნით მოვიდა ტრანსპორტი ჯარით, მეამბოხეთა მეთაურნი მიიმალნენ, წაიღეს რა თან ხაზინის მთელი კასა, რომელიც 4 იანვარს უკანვე დააბრუნეს მთლიანად. ამჟამად, შედარებით, სიწყნარეა.

პეტერბურგი, 19 იანვარი. კურსკის გუბერნიის შჩიგროვის მაზრის გლეხების დეპუტაციას 16 იანვარს ხელმწიფემ შემდეგი სიტყვებით მიმართა ცარსკოე სელოში: „ძლიერ მიხარიან თქვენი ნახვა. თქვენ, ძმებო, რასაკვირველია უნდა იცოდეთ, რომ საკუთრების ყოველი უფლება ხელუხლებელია. ის, რაც მემამულეს ეკუთვნის, მემამულისაა, რაც გლეხკაცის საკუთრებას შეადგენს ის მისი კუთვნილებაა. მემამულის მიწა მემამულეს ეკუთვნის იმავე ხელ უხლებელ უფლებით, როგორც თქვენი მიწა ეკუთვნის თქვენ. სხვა ნაირად შეუძლებელია, აქ დავას არავითარი ადგილი არ აქვს. მე მსურს, რომ ეს ჩემი სიტყვები გადასცეთ თქვენ თქვენს თანასოფლელებს. მე თქვენ არ დაგივიწყებთ, გლეხების გაჭირვება ჩემთვის ძვირფასია. მე თქვენზე ვიზრუნებ ისე, როგორც ცხონებული მამა ჩემი. შეიკრიბება სახელმწიფო სათათბირო და ჩემთან ერთად მოილაპარაკებს, რა ზომებია საუკეთესო თქვენის გაჭირვების მოსასპობლად. თქვენ შეგიძლიანთ ჩემი იმედი იქონიოთ· მე თქვენ გიშველით, მაგრამ, ვიმეორებთ, გახსოვდეთ მუდამ, რომ საკუთრების უფლება წმინდაა და ხელ შეუხებელი უნდა იყოს.“

მინსკი, 19 იანვარი. გუბერნატორისა და პოლიცმეისტრის მკვლელის გამზრახველთ პულიხოვსა და იზმაილოვიჩს სამხედრო სამართალში აძლევენ.

კიევი, 19 იანვარი. მოიხსნა სამხედრო წესები ჟმერინკისა, სარნისა და იურიევის სადგურებზე. მოვიდა გენ. ბეზობრაზოვის რაზმის ერთი ნაწილი. უნივერსიტეტი გაჩხრიკეს. დაატუსაღეს დოცენტი ბოგოიავლენსკი და 4 სტუდენტი.

კიევი, 19 იანვარი. პოლიციამ აკრიფა კონ-დემოკ. პარტიის ორგანო „სვობოდა ი პრავო“. ამ პარტიის კანდიდატი სათათბიროში, პროფ. ტრუბეცკოი, გავიდა პარტიიდან. ყველა პარტიის პოლონელებმა გადასწყვიტეს მხარი დაუჭირონ კონ.-დემოკ. პარტიის კანდიდატს, რადგანაც თვითონ მათ არ აქვთ შეძლება საკუთარის დელეგატის არჩევისა სათათბიროში. კრების გამართვის ნება არ მისცეს კიევის პოლიტეხნიკუმში სწავლა დამთავრებულ ინჟინერებს.

ბახმუტი, 19 იანვარი. ამბობენ, რომ რადგანაც ქვის ნახშირი სრულებით გამოილია ზოგიერთ რკინის გზებს, ამიტომ ისინი ითვისებენ კერძო პირების სახელზე გაგზავნილ ნახშირის ვაგონებს.

კრასნოიარსკი, 19 იანვარი. მუშების უბანში დაიჭირეს მრავალი იარაღი. რკინის გზის სახელოსნოებში შეუდგნენ მუშაობას. 10 იანვრიდან ყველა სასწავლებელში წესიერად მიმდინარეობს სწავლა. 20 იანვარს შეჩერებულ „სევერნი ობლასტ“-ის მაგიერ გამოვიდა „სევერნაია გაზეტა“.

პარიზი, 10 იანვარი. წმ. კლოტილდის ეკლესიაში მანიფესტაციის დროს საეკლესიო ქონების აღწერის წინააღმდეგ, დაჭრილია 50-მდე სალდათი და პოლიციელი და მანიფესტანტი. მანიფესტაციის შესახებ შფოთიანი კამათი იყო დეპუტატების პალატაში, რომელიც ამტყუნებს მთავრობას კანონების დარღვევასა და კლოტილდის ეკლესიაში მკვლელობის მოხდენაში. და ბოლოს უმეტესობამ მიიღო რუვიეს მიერ მოწონებული ფორმულა სამორიგეო საქმეებზე გადასვლის შესახებ. ამ ფორმულაში იმედია გამოთქმული, რომ მთავრობა უზრუნველ ჰყოფს ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის კანონის ცხოვრებაში გატარებას.

ვარშავა, 19 იანვარი. ვოლსკის მიდამოებში ყველა სახლები გაჩხრიკეს. დაატუსაღეს რამდენიმე კაცი. ოლქის სასამართლომ 4 წლის კატორგა გადაუწყვიტა იან სტახოცინსკის, რომელსაც ლუდის ქარხნის დირექტორ ზარემბის მოკვლა ედებოდა ბრალად.

ელისავეტოპოლი, 19 იანვარი. გენ. გუბერნატორმა გადასცა საბჭოს მიერ შუამდგომლობის განხილვა რომელიც განაპირა ადგილების მცხოვრებ მიწის მუშებმა შემოიტანეს საბჭოში ისინი თხოულობდნენ ზომები მიეღოთ მათში განათლების შეტანისა, ქალაქის კუთვნილ სახნავ-სათეს მიწის გაფართოვებისა და მისი შეღავათიანის პირობებით მიცემაზე.

კოსტრომა, 20 იანვარი. მუშათა დეპუტატების საბჭომ შეაჩერა მოქმედება რეპრესიულ ზომების მიღების გამო.

ვლადივასტოკი, 20 იანვარი. კომენდანტის თანამდებობის აღმასრულებელმა გენ. არტამონოვმა მიუწოდა მოქალაქეებს, თავი გაანებონ ურთ-ერთის სისხლის ღვრას, დაუბრუნდნენ მშვიდობიან ცხოვრებას და ნუ ჩაერევიან სხვის საქმეში, მეტადრე სამხედრო წრისაში. გარნიზონისა და ციხის საქმეს შეასრულონ სალდათის ვალი სამშობლოს დაცვისა მტრისაგან და ნარიონ პოლიტიკურ საკითხებში. გენერალი უცხადებს, რომ იგი იცნობს და უყვარს სალდათები და სიტყვას იძლევა, ყოველი ღონისძიება იხმაროს მათის გაჭირვების დასაკმაყოფილებლად. მან განაცხადა, რომ ტელეგრაფით ითხოვა დამნაშავეებისთვის მიტევება: იგი მოუწოდებს მცხოვრებლებსა და სალდათებს მიეშველონ მას სამწუხარო ამბების კვალის წაშლისა და ქალაქისა და პორტის მცხოვრების აღდგენის საქმეში.

ბერდიჩევი. დაარსდა საზოგადოება ვაჭრებისა, რომლის მიზანია ებრძოლოს ვაჭრობისთვის ხელის შემშლელ მოვლენებს. ამ მიზნის განსახორციელებელ გზას ისინი ხედავენ უსაქმო მუშებისთვის დახმარების მოწყობასა, დამის ყარაულის დანიშვნასა და სპეციალურ დარაჯების გაჩენაში პოლიციელებისა და პატრულებისაგან.

პეტერბურგი, 20 იანვარი. სამრეწველო გადასახადის მომატება: გადასახადს იმ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებზე, რომელთა წმინდა შემოსავალია არა უმეტესი 3% ძირითად კაპიტალზე, 3 შაური ემატება, დანარჩენებზე—20 კ. ძირითად კაპიტალის თვითეულ 100 მ. ის ვაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი, რომლების წმინდა შემოსავალი 3% აღემატება, იხდიან ძირითად სამრეწველოსა და კაპიტალზე გადასახადებს გარდა პროცენტების მოსაკებიდან, რომმლსაც თან და თან მოემატება, ასე მაგალითად, ვინც წმინდათ 3%—4-მდე მიიღებს, მოსაკებს ის იხდის 3%, ვინც 20%-მდე, მიიღებს, იგი—14%-ს, ვინც 20%-ზე მეტს—იგი იმ 14% გარდა გადაიხდის კიდევ 10%-ს იმ ჯამიდან, რომელიც 20% აღემატება.

პოლიციამ აკრიფა დღევანდელი ნომრები გაზეთებ „რადიკალი“-სა და „ვეჩერნი გოლოს“-ისა.

შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგა დეპუტაცია სრულიად რუსეთის მუსულმანთა კრებისაგან ტავრიდის მუფტის კრასოვსკის თაოსნობით.

პეტერბურგი, 20 იანვარი. პროფესორებმა 19 იანვრის სხდომაზე საჭიროდ სცნეს პროფესორთა დისციპლინარულ სასამართლოს დაარსება, რომლის ორგანიზაცია საბჭოებს მიენდობა, სასამართლო გაარჩევს შემდეგს საქმეებს: 1. უნივერსიტეტის შენობასა და დაწესებულებებში წესიერების და საბჭოს მიერ დადგენილ წესების დარღვევას; 2, ისეთ დანაშაულს, რომელიც ჩირქს სცხებს უნივერსიტეტის ღირსებას; 3. შეტაკებას სტუდენტებს შორის. ყველაზედ უსასტიკესი ზომა. რომლის მიღება შეუძლია სასამართლოს, ეს დამნაშავის დათხოვნაა. შესახებ გარეგნულ უთანხმოებისა სტუდენტებს შორის დადგენილ იქნა, რომ უნივერსიტეტის შენობაში სტუდენტები და თავისუფალი ყურის მგდებელნი ვალდებულნი არიან საბჭოს მიერ დადგენილი წესები შეასრულონ. წესიერებისთვის უმაღლესი თვალ-ყურის გდება რექტორსა და პრორექტორს ეკუთვნიან და ისინი მოქმედებენ საბჭოს მიერ შემუშავებულ ინსტრუქციებით. თვალ-ყურის დევნება უნდა ეხებოდეს მხოლოდ გარეგანს წესრიგს და პოლიტიკურ ელემენტს სრულებით არ უნდა ქონდეს ადგილი. (შემდეგი იქნება).

პეტერბურგი, 20 იანვარი. განზრახვაა გამოსცენ ყოველდღიური გაზეთი მუსულმანებისა პაიებით. გაზეთი გამოვა რუსულ ენაზე და იმპერიის მუსულმანთა ინტერესების დაცვა ქნება მიზნად.

დღეს დილით პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორმა ხელი მოაწერა ქაღალდს, რომლის ძალით განთავისუფლებულ უნდა იქნას ციხიდან „სინ ოტეჩესტვა“-ს ყოფილი რედაქტორი იურიცინი ავადმყოფობის გამო.

გავიგეთ, რომ თებერვლის პირველ რიცხვებში პეტერბურგში გაიმართება კრება როგორც შინაგან რუსეთისა ისე განაპირა მხარეების გენ.-გუბერნატორებისა, რათა სჯა-ბაასი იქონიონ საერთო მდგომარეობაზე ადმინისტრატიულის თვალ-ისრით.

პეტერბურგში მოელიან მოსკოვის გენ.-გუბერნატორ დუბასოვს, როგორც გავიგეთ, იგი სამსახურს თავს ანებებს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

21 იანვარი

პეტერბურგი, 18 იანვარი. გამოძიებამ გამოარკვია, რომ მინსკის გუბერნატორის მოკვლის გამზრახველი არის უნივერსიტეტის სტუდენტი ივანე პულიხოვი, პოლიცმეისტრისა კი გენ.-ლეიტენანტ იზმაილოვიჩის ქალი ანნა.

„ნოვოე ვრემია“ იუწყება: რადგანაც სახელმწიფო საბჭოში საზოგადოებებისა და კავშირების კანონ პროექტის შესახებ უთანხმოება ჩამოვარდა, ამიტომ ამ კანონის გამოცემა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ბრძანებისამებრ განხილული უნდა ყოფილიყო ერთის კვირის განმავლობაში, გადაიდო გამოურკვეველ ვადამდე.

„ნოვოსტი“-ს სიტყვით, გადაწყვეტილია, თებერვლის დასაწყისში დაწვრილებით გადახედონ პოლონეთის შესახები დებულება მინისტრთა საბჭოში. საბჭოს სხდომებზე ამ საქმის შესახებ მონაწილეობას მიიღებს ვარშავის გენ.-გუბერნატორი სკალონი.

კოპენჰაგენი. მეფის დასაფლავებას 1 თებერვლისთვის აპირობენ.

სიმფეროპოლი. აგრარული არეულობის დროს დნეპროვსკის მაზრაში გაძარცვეს და გადასწვეს 72 ხუტორი და 32 ეკონომია. ზარალი აუარებელია.

რიგა. სამხრეთის რაზმის უფროსის განკარგულებით ბარონმა მიდელმა დაატუსაღა მართლმადიდებელი მღვდელი იაკობ კარპი.— 19 იანვარს ლინდენრუს მამულში იპოვნეს მიწაში ჩამარხული ვინტოვკები, რევოლვერები, ხანჯლები და სხვა იარაღები.

აღდამი. სომხის სოფლების წინააღმდეგ გენ. კოლოშნაპოვის არტილერიის მოქმედების შემდეგ, შუშაში მოხდა სომეხ-თათართა შერიგება. არეული დეპუტაცია ორივე ერისა სამღვდელოებითურთ დადის და ხალხს მშვიდობიანურ შრომისაკენ უწოდებს.

განჯა. 18 იანვარს ელენენდორფის ახალშენში სროლა ასტეხა მუსულმანებსა და სოფლელ სომხებს შორის. სომხების მხრივ არიან მოკლულები და ტყვედ წაყვანილი ქალები. დღეს ქალაქის საზღვრებში თავს დაეცნენ მეფურგუნე მუსულმანებს და გარეკეს 3 წყვილი კამეჩი. მოჰკლეს ერთი მუსულმანი. ჩქარა გაჩნდნენ ყაზახები და შეაწყვეტინეს სროლა. ქალაქი შიშმა მოიცვა.

ტომსკი. ვაჟების კლასიკური გიმნაზია დაიხურა.—ამბობენ, რომ ციმბირის რკინის გზის სამმართველო მხოლოდ მაშინ დაემორჩილება გენ. რენენკამფის ბრძანებას, როცა პეტერბურგიდან მიიღებს ამის შესახებ ბრძანებას. სამმართველომ მოითხოვა პეტერბურგიდან საჭირო ინსტრუქციები.

ბელგრადი. წესიერება აღდგენილია. დემონსტრაციის მეთაურები იყვნენ ისინი, ვინც ნივთიერად იყვნენ დაინტერესებული ავსტრიასთან სადამოყნო კონფლიქტის მოხდენის საქმეში.

შანხაი. მონგოლიის მთავრებმა შუამდგომლობით მიმართეს ბოგდოხანს მონგოლიაში გავრცელდეს რკინის გზები და ტელეგრაფი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ბ. ჯაბადარი**.

გამოსადეგი ცნობანი

ეტერბურგის ბირჟა 4 იანვარი 1906 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,10
ბერლინისაზე 100 მარკაში.	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები.	95,00
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,77¼
ბირჟის დისკონტი	5¼—7½%
4% სახელმწიფო რენტა	79½
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	73,½
5% 1 შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1864 წ.	401
5% მე-2 შინ. ეს. მოგ. ბილ. 1866 წ.	316½
5% გირ. მოგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	251
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	—
4½% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	83¾
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	71½
5% გირ ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირვ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ს. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	171

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო. მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში. უფასო ქალაქის ღამის თავ-შესაფარი სახლები:

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ალაქის სამკურნალოს განყოფილებანი

ავლაბარსა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო. ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის. უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 2 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლ. მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
აცხადებს, რომ ამა წლის 26 იანვარს, შუადღის 12 საათისთვის დანიშნულია საჯარო ვაჭრობა არხის გაყვანის საქმის გასაცემად. არხი გაყვანილ უნდა იქმნას ვახტანგისა და კოტლიარევსკის ქუჩ., მე-7 ნაწილში.

50 ს. ბეტონის მილი 0,25 ×0,16
10 „ „ 0,375×0,25
2 ჭა.

წერილობითი განცხადებანი, სადაც აღნიშნული უნდა იყოს ცალ-ცალკე ფასები, უნდა წარდგენილ იქნას დაბეჭდილი კონვერტებით ამ წლის 26 იანვრისთვის.

ვისაც ვაჭრობა სურს, შეუძლიან პირობები განიხილოს გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში, ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 1-დან 3 საათამდე. ს. № 36. 1906 წ. (3—6.—1)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
აცხადებს, რომ 25 იანვარს, ნაშუადღევის 1 საათისთვის, ქალაქის სახლში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც გაიცემა შოსსეს შეკეთების საქმე ქალაქის სხვა და სხვა ადგილას. უნდა გაკეთდეს აგრეთვე ქუჩაზე გადასასვლელები.

ვაჭრობის პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე 12-დან 2 საათამდე გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში. (3—6.—1)

ქალაქ ბათუმში
ექვთიმე ბერძენიშვილი და ახილეს დიმიტრიადი ყიდიან საუკეთესო აბრეშუმის თესლს ხრისტოდულიდის ფირმისას და იმათ აქვს საწყობი ქ. ბათუმში ქუთაისის გუბერნიისათვის, რამდენიც საჭირო იქნება.
ს. ხრისტოდულიდი. (8—1)

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი
„ნაკადული“
წელიწადი მეორე. წელიწადი ითვლება იანვრიდან იანვრამდე.
პირველი ნომერი გამოვა 1 იანვარს.
რადგანაც ფოსტა-ტელეგრაფი არა მოქმედებს, მუდმივ სტამბების გაფიცვისა და არეულობის გამო იძულებული ვართ მეორე წლის პირველი ნომრები გამოვსცეთ იანვრიდან.
ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წ. კ. გ. საზოგადოების“ კანცელარიაში და მარიამ ჯემურიას სადგომში—ალექსანდროვის ქუჩა № 5.
რედაქცია იმყოფება ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში № 8.
დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.
ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე სამ-სამი მან. ნახევარ წლით ერთად 2 მან. 50 კაპ., ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ., თვეში 50 კაპ. ცალ-ცალკე ნომერი „მცირე წლოვანთათვის“ 15 კაპ., მოზრდილთათვის 25 კაპ. წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ თვეში თითო მანეთი შემოიტანონ.
შარშანდელი მთელი წლის ნომრები იყიდება სამ მანათად
პირობებზე მოსალაპარაკებლად რედაქცია ღიაა დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „НАКАДУЛИ“.
რედაქტორი **მარიამ ივანეს ასული დემურიასი.**
გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია
ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.
მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწვდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები გაეგზავნებათ ფას დადებითაც.
იყიდება **დარბაზის მოსართავათ ქართველი მწერლების დიდი სურათები** 30 კ. 50 კ.
სი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.
წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე**.
(წლ.)

საომარ წესების ახსნის შემდეგ კვლავ გამოვა
„პატარა გაზეთი“
ყოველ-დღიური სრულ-პროგრამიანი გამოცემა:
ერთის წლით ღირს 3 მან. ნახევარისა . . 2 მან.
Редакція „Патара Газети“. Дворцовая, у., д. Дворянства № 17.
რედაქტორ-გამომცემელი **კ. მესხი.**

ԲԱՑՒԱԾ Է ԲԱԺԱՆՈՐԴԱԳՐՈՒԹԻՒՆ
„ՅԱՌԱՋ“
ՀԱՍԱՐԱԿԱԿԱՆ, ՔԱՂԱՔԱԿԱՆ ԵՒ ԳՐԱԿԱՆ ՕՐԱԹԵՐԹ
Խմբագրութեան անդամներն են. Ահարոնեան Աւետիս, Դաւթեան Երուանդ, Թոփչեան Եղիշէ, Խաժակ Գ., Նազարեան Լիպարիտ, բժ. Օհանջանեան Համ., Իւսուֆեան Յովհաննէս:
Մօտիկ աշխատակիցներն են. բժ. Աթաբէգեան Լեւոն, Ա.—Դօ, Զարդարեան Ռուբէն, Զօրեան Ստեփան, Զաւարեան Սիմէօն, Թումանեան Յովհաննէս, Իսահակեան Աւետիք, Լէօ, Լիսիցեան Ստեփան, Մալումեան Խաչատուր, Յովհաննիսեան Միքայէլ, Յովհաննիսեան Տիգրան, Շխեան Սիմէօն, Պապովեան Ալէք., Սամուէլեան Խաչ., Տիգրանեան Սիրական, բժ. Օհանեան Բրիւս. և ուրիշներ:
ԲԱԺՆԵԳԻՆՆ Է
Թիֆլիսում՝ տարեկան 6 ր., ամսական 50 կոպ.: Թիֆլիսից դուրս՝ տարեկան 7 ր., ամսական 60 կոպ.: Արտասահմանում՝ 32 ֆր., ամսական 3 ֆր.:
Դիմել՝ Тифлисъ редакція «Арачъ» կամ Tiflis (Russie) Rédaction «Haradj».
Խմբագրատունը գտնւում է Թիֆլիզում, Սերգիեւսկայեան փողոց № 9.
Խմբագիր—Ա. Սահակեան
Հրատարակիչ—Մ. Նալբանդեան
(3—2)


Магазинная вывеска. Рисунокъ утв. Отд. пром. и торг. М. Фин.

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ
Необходимы для домашняго употребленія. Образцовы въ конструкціи и исполненіи. Продаются только въ магаз. Комп. Зингеръ.
Отпускъ машинъ съ платежемъ **отъ 1 рубля въ недѣлю.**
Безплатное обученіе шитью и моднымъ художественнымъ вышивкамъ.
Остерегайтесь поддѣлокъ!
Ручныя машины съ высокимъ рукавомъ во всѣхъ нашихъ магазинахъ отъ 25 руб.
Болѣе 1200 собственныхъ магазиновъ по всей Россіи!
фабричное клеймо которымъ снабжены машины.
საკერავი მაშინები
ზინგერის ამხანაგობისა
იყიდება მხოლოდ ამხანაგობის საკუთარ მაღაზიებში. ამხანაგობას 1200-ზე მეტი მაღაზია აქვს რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქში. მაღაზიები გაიგება ზედ წარწერით რომელზედაც გამოხატულია ასო „ზ“. ნახატი დამტკიცებულია ფინანსთა სამინისტროს სამრეწ. და სავაჭრო განყოფილების მიერ. გაუფრთხილდით, არ მოგატყუონ! ყიდვა მაშინისა შეიძლება ნისიად, და ფულის ნაწილ ნაწილ შემოტანით, კვირაში თითო მანეთიდან. (25—22).

სწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართ. ამხ.“-სა. ვანქის დიდი ქუჩა, ტელეფონი № 372.